პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—56
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 212 (1367)

საქართვ. წიგნის [illegible]

დღიური

— 13 სექტემბერს ჰეიდელბერგში გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

— 13 სექტემბერს ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო დელეგაციამ დაათვალიერა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა.

— ლონდონში გარდაიცვალა ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ახალი ხანის დასაწყისი ინგლისში

როცა მივიღეთ პირველი ცნობები ინგლისის ტრედ-იუნიონების ყრილობის შესახებ, ჩვენ მაშინვე ხაზი გაუსვით ამ ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას არა მარტო ბრიტანეთის, არამედ მსოფლიო მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაშიც. ყრილობის შემდეგმა მსვლელობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დღეს ჩვენ სრულებით გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ახალი ხანის დასაწყისზე ინგლისის, პროფკავშირების და მთელი პროლეტარიატის ცხოვრებაში.

პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ტრედ-იუნიონები, რომელნიც იმ თავითვე ცნობილი იყვნენ თავისი რეფორმისტული მიდრეკილებით, დაავადებულნი იყვნენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის სენით და ამნაირად ცდილობდენ მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას,—დღეს ადგებიან აშკარა კლასობრივი ბრძოლის გზას. როგორც წინადაც აღვნიშნეთ, ყრილობამ მიიღო კომუნისტების მიერ შეტანილი რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ პროფესიული მოძრაობა ორგანიზაციულად უნდა ემზადოს ბრძოლისათვის კაპიტალიზმის დასამხობად. რეზოლიუცია ამასთან აფრთხილებს მუშებს, რომ კაპიტალისტები ცდილობენ გახადონ მუშები თავიანთი წარმოებათა „პარტნიორებად“, რათა ამით შეაფერხონ პროფმოძრაობა.

როგორ განირჩევა ტრედ-იუნიონების ყრილობა ამ ნაწილში (როგორც ბევრ სხვა რამეში) გერმანიის პროფკავშირების ყრილობისგან, რომელმაც „სამეურნეო დემოკრატია“, ე. ი. შრომის და კაპიტალის თანამშრომლობა ეკონომიურ დარგში, გამოაცხადა პროლეტარიატის ხსნის საშუალებად!

აიღო რა გადაჭრილი კლასობრივი გეზი საშინაო პოლიტიკაში, ტრედ-იუნიონების კონგრესი, ბუნებრივად, დაადგა პროლეტარული სოლიდარობის და პროფმოძრაობის მთლიანობის გზას როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ენერგიული ბრძოლა საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლად, კერძოდ ინგლისის და საბჭოთა რესპუბლიკების პროფკავშირების ერთიანობის განსამტკიცებლად—გამოაცხადა მან თავის სამოქმედო გეგმად. ყრილობამ სავსებით შეიგნო, რომ კაპიტალიზმის დამხობა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შექმნის ნიადაგზე.

კერძოდ ეს აუცილებელი პირობაა საერთაშორისო იმპერიალიზმის გასანადგურებლად. და ყრილობის მუშაობაში ყველაზე უფრო შესანიშნავია მისი რეზოლიუცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს მართლა ახალი ეპოქის დასაწყისია. ჩვენ დღეს არას ვლაპარაკობთ ყრილობის მიერ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობის აღდგენის მოთხოვნაზე, რომელსაც თავის თავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე დაუესის გეგმის გაუქმების მოთხოვნა, გეგმის, რომელმაც მონობაში ჩააგდო გერმანიის მშრომელი ხალხი და ნიადაგი შეუმზადა მსოფლიო მუშათა კლასის ეკონომიურ დაბეჩავებასაც.

უფრო მეტი ფასი აქვს ყრილობის გალაშქრებას ბრიტანეთის კოლონიალური იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ინგლისის ბურჟუაზიის მასაზრდოებელი წყაროა დაჩაგრული აღმოსავლეთი, რომლის გაძვალტყავებით იგი ახერხებდა „თავის“ მუშათა კლასის ზედაფენების დაშოშმინებას. დღემდე ინგლისის კაპიტალისტების მტაცებლური კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ ძალიან სუსტად გაისმოდა ბრიტანეთის პროლეტარიატის ხმა. დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ ტრედ-იუნიონების ყრილობამ ხმების უდიდესი უმრავლესობით დაადგინა: **მხარი დაუჭიროს მუშათა მოძრაობას ინგლისის იმპერიის ყველა ნაწილებში; შედგენილ იქნეს მუშათა პროფკავშირები და პოლიტიკური პარტიები; მხარი დაუჭიროს ინგლისის ყველა ხალხების უფლებას თვითგამორკვევაზე, თვით იმპერიისაგან სავსებით გამოყოფამდე.**

ყრილობის მთელ მუშაობაში სწორედ ესაა უმთავრესი. თუ მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა პირში წყალი ჩაიგუბა იმპერიალიზმის მიერ წარმოებულ მტაცებლობისა და ყაჩაღურ ომების გამო აღმოსავლეთში, თუ მისმა პლენუმმა აზიის ხალხების განმანთავისუფლებელი მოძრაობა „აზიურ ნაციონალიზმად“ გამოაცხადა და ამით ზურგი გაუმაგრა „განათლებულ“ იმპერიალისტების ავაზაკობას აღმოსავლეთში,—სულ წინააღმდეგ მოიქცა ტრედ-იუნიონების ყრილობა: მან აუცილებლად აღიარა „დაბალ“ რასების განთავისუფლება და საჭიროდ სცნო აღმოსავლეთის მშრომელთა დარაზმვა იმპერიალისტების წინააღმდეგ და ამ გზით ამ მშრომელთა მოძრაობის დაკავშირება ევროპის მუშათა კლასის ბრძოლასთან. ცხადია, რომ ეს ერთად ერთი სწორი გზაა მსოფლიო კაპიტალიზმის დასამხობად.

ამ დებულების თანახმად, ყრილობამ კერძოდ მოითხოვა ინგლისის ჯარების გაყვანა ჩინეთიდან.

უეჭველია, რომ ყველაფერი ეს მაჩვენებელია ახალი ეპოქის დასაწყისისა ინგლისის მუშათა მოძრაობაში. იქ მოხდა ღრმა გარდატეხა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინგლისის პროლეტარიატის გამემარცხენების პროცესი, რომელიც სამარეს უთხრის კაპიტალიზმის ბატონობას კაპიტალიზმის ერთ უდიდეს ქვეყანაში, ინგლისში.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რა თქმა უნდა, რომ ყრილობის რეზოლიუციები ადვილათ გატარდება. ჩვენ ასეთ გულუბრყვილობას ვერავინ დაგვწამებს. ამ მხრივ ინგლისის პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთა წააწყდება სასტიკ წინააღმდეგობას მემარჯვენე ფენების მხრით, რომელნიც ყრილობაზე სასტიკად დამარცხდენ, მაგრამ ცხადია, იარაღი მაინც არ დაუყრიათ,—ისინი მხოლოდ დროებით შეძვრენ სოროში. რათა მოხერხებულ დროს ისევ წამოყონ თავი. არას ვლაპარაკობთ ინგლისის ბურჟუაზიაზე, რომელიც ემზადება ტრედ-იუნიონებისათვის „ჭკუის სასწავლებლათ“. მხოლოდ ერთი რამ ცხადია, სახელდობრ: ბოლოს და ბოლოს ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მოძრაობაში მოსულ და კლასობრივ გამოფხიზლების გზაზე შემდგარ გოლიათს, ინგლისის მრავალმილიონიან დარაზმულ პროლეტარიატს.

გადასახადების გადამხდელთა საყურადღებოდ

გუშინ ჩვენ მივიღეთ ცნობა ახალი საგადასახადო შეღავათების შესახებ, რაც აშკარა მაჩვენებელია იმის, თუ საბჭოთა ხელისუფლება რამდენად ცდილობს შეუმსუბუქოს გადამხდელთ საგადასახადო სიმძიმე. და ეს ცდა მით უფრო მეტია, რამდენათ უფრო ძლიერდება ფინანსიურად მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარში გამოცემულია მთელი რიგი დადგენილებები საგადასახადო შეღავათების შესახებ, მაგრამ გუშინ მიღებული ცნობა აღემატება ყველას თავისი სიდიდით და სიფართოვით.

თანახმად საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ა. წ. 4 სექტემბრიდან, გამოქვეყნებული საკავშირო ცაკის ორგანოში—(„იზვესტია“-ში 5—ამა თვეს) ცხადდება შემდეგი ახალი საგადასახადო შეღავათები:

1. ის შინამრეწველნი და ხელოსნები, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად, რომელნიც, თანახმად საკავშირო ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 10 აპრილის, 12 მაისის და 12 ივლისის დადგენილებებისა, თავისუფლდებიან გადასახადებისაგან სრულიად ან ნაწილობრივ,—ღებულობენ კიდევ ახალ შეღავათს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ უნდა მოეხსნათ მთლად ყველა ნარჩენები და საურავი სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებისა, რომელიც ირიცხება მათზე ა. წ. 1-ლ აპრილამდე.

2. მოხსნილი უნდა იქნეს ყველა ნარჩენები და საურავი საშინაო გადასახადებისა მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის, დაგროვილი იმ დროისათვის, როცა შევიდა ძალაში საკავშირო ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ა. წ. 3 აპრილიდან ხსენებული გადასახადის შესახებ.

3. უნდა ჩამოეწეროს სრულიად ყველა პირთ და საწარმოოს, 1-ლ მუხლში მოხსენებულთა გარდა, ნარჩენები და საურავი, დაგროვილი 24 წ. 1-ლ ოქტომბრამდე, თუ ასეთები თვითეულ გადასახადზე და ადგილობრივ ორგანოების დამატებაზე **არ აღემატება 10 მანეთს საურავის გარდა.**

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ნარჩენები აღემატება აღნიშნულ რაოდენობას, ე. ი. 10 მანეთს, შეჩერებულია იძულებითი გადახდევინება ნარჩენებისა და საურავის დარიცხვა 1-ლ აპრილის შემდეგ და ნება ეძლევათ გადამხდელთ თავისი ნებით შეიტანონ მთავრობის სალაროებში ა. წ. 30 სექტემბრამდის ყველა გადასახადების ნარჩენები. ამასთან მათ საურავის რაოდენობა უმცირდებათ თვით ნარჩენების რაოდენობის, 25 პროცენტით, ხოლო თუ კი ამ შეღავათით არ ისარგებლებს გადამხდელი, მაშინ მას გადახდება ნარჩენები საურავის დარიცხვით თავიდან გადახდამდე იძულებითი წესით.

ამას გარდა გუშინვე მოგვივიდა ახალი განკარგულება საკავშირო ხელისუფლებისა, რომლის მიხედვით მოხსნილი უნდა იქნეს ყველა ნარჩენები და საურავი 1-ლი და 2-რე სახელმწიფოებრივი მოგებიანი სესხისა, დაგროვილი როგორც კერძო, ისე იურიდიულ პირებზე, იმისდამიუხედავად, თუ რამ გამოიწვია ამ ნარჩენების დაგროვება და რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს მათი გადახდევინება.

ამ უკანასკნელი განკარგულებით ბოლო ეღება სამუდამოთ სახელმწიფოებრივი სესხის ობლიგაციების იძულებითი განაწილებას და მთელი საქმეები ამის გარშემო, თანახმად ამავე განკარგულებისა, მოსპობილი უნდა იქნეს წარმოებით.

ყველა ჩამოთვლილი შეღავათები უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლების ახლანდელი ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით მაქსიმალურ შეღავათებათ, მაგრამ ამასთანავე ყველას უნდა გვჯეროდეს მტკიცეთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შემდეგშიაც ფართოდ აწარმოებს ასეთ შეღავათებს, რამდენად ის ფინანსიურად განმტკიცდება.

ცხადია ისიც, რომ ამასთან ერთად ჩვენი საგადასახადო ვალდებულობაც უნდა განვამტკიცოთ და ყოველივე ღონისძიება მოვანდომოთ, რათა თავის დროზე მოვიხადოთ საგადასახადო ვალდებულებანი საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მის მიერ დანიშნულ ვადებში ხვედრი გადასახადების შეტანით, რითაც კიდევ უფრო მეტ საშუალებას მივცემთ მას გაადიდოს საგადასახადო შეღავათები.

თუ ზერელედ მაინც გადავავლებთ თვალს გადასახადების რაოდენობას ისეთ მდიდარ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა,—ადვილად დავინახავთ, რამდენად მცირეა ჩვენს რესპუბლიკებში არსებული გადასახადები; და ჩვენ მუშურ-გლეხური მთავრობის ამ ცდას—შესაძლებლობის ფარგლებში შეამციროს მოქალაქეთა საგადასახადო ტვირთი, ერთსულოვანი პასუხით უნდა შევხვდეთ—სრულიად ძალდაუტანებლათ და საგადასახადო ვალდებულობის შეგნებით შევიტანოთ მის სალაროებში ყველა შეღავათების გარეშე დარჩენილი გადასახადები.

ვ. ჯ.

უპასუხისმგებლო გამოსვლების შესახებ

დიდ რევოლიუციონურ გარდატეხის ხანაში ყველგან მოიპოვებიან ხოლმე უკმაყოფილო ელემენტები, რომელთაც არ მოსწონთ არსებული წესწყობილება და ებრძვიან მას. ამგვარი ელემენტები ჩვენშიც მოიპოვებიან. ასეთები არიან, სხვათა შორის ისინი, რომლებიც მოითხოვენ სამეგრელოს ავტონომიას.

აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვაგონო მკითხველ საზოგადოებას ამ საკითხის მოკლე ისტორია.

დაახლოებით 20—25 წლის უკან მეფის მთავრობის ადგილობრივ აგენტებს—ვოსტორგოვ - იანოვსკი - ლევიცკის აზრათ ჰქონდათ სამეგრელოს გამოთიშვა ქართველ ტომთა ოჯახიდან და ამ მიზნის განსახორციელებლად „ცნობილ“ აშორდიას საშუალებით შექმნეს მეგრული ანბანი რუსულ ასოებიდან გადაკეთებული, სთარგმნეს რამდენიმე წიგნაკი მეგრულ ენაზე და შეეცადენ ამ ენის შემოღებას პირველ დაწყებითი სკოლებში. მაგრამ მათდა სამწუხაროთ სამეგრელოს მოწინავე ელემენტებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მაშინ ამ განზრახვის განხორციელებას, ატყდა დიდი ალიაქოთი და საკითხი ისე გამწვავდა, რომ ზოგიერთ სასწავლებლებში გაფიცვა გამოიწვია. მთელმა სამეგრელომ მოითხოვა ამ ხელოვნურ ენის და წიგნების სასწავლებლებიდან სამუდამოთ განდევნა და მის მაგიერ მშობლიური, ქართული ენის შემოღება. სამეგრელოს ასეთმა ერთსულოვანმა გამოსვლამ თავზარი დასცა მეფის აგენტებს და აიძულა ისინი თავი დაენებებიათ ვერაგული განზრახვისათვის.

ეს იყო 20—25 წლის უკან, მაგრამ რა ხდება დღეს? სამეგრელოში შემდგარა ისეთი ჯგუფი, რომელსაც თურმე ძილს უფრთხობს ვოსტორგოვ-ლევიცკი-აშორდიას „გვირგვინები“ და სცდილობენ ამ „ჭეშმარიტ რუსების“ პოლიტიკის გატარებას ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც ყველა ერს ეძლევა სრული თავისუფლება ეროვნულ საკითხის გადაწყვეტისა და არავითარ ძალდატანებას არა აქვს ადგილი.

ახლა ვნახოთ, თუ რამდენათ ხელსაყრელი და მიზანშეწონილია სამეგრელოსათვის ვოსტორგოვ-ლევიცკი-აშორდიას საქმე, რომლის განხორციელებას ცდილობენ ჩვენი „მაფალუ“-ელები. აქ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე რომ სამეგრელო განუყრელი ნაწილია საქართველოსი როგორც ეკონომიურად, აგრეთვე კულტურულად, სამეგრელოს ხალხი მუდამ ყოფილა და არის მჭიდროთ დაკავშირებული მთელ ქართველ ხალხთან და მათი ინტერესები ისეა გადახლართული ერთმანეთთან, რომ სამეგრელოს ცალკე ერთეულად გამოყოფა და არსებობა ყოვლად შეუძლებელია და პირდაპირ დამღუპველია სამეგრელოს მშრომელ ხალხისათვის. ყოვლად შეუძლებელია მთლიან ორგანიზმიდან ჩამოჭრილ სხეულის ცალკე არსებობა. ასე ხელოვნურად გამოყოფილი ნაწილი ვერ იცოცხლებს და აუცილებლად მოკვდება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო განა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მტკიცედ იცავს ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს, დროზე არ მიანიჭებდა სამეგრელოს ავტონომიას? მაგრამ ეს ასე არ არის, ვინაიდან ყოველი მეგრელი, რომელიც თავის მოქმედებაში არ ხელმძღვანელობს ფარული პირადი ინტერესებით, თავის სამშობლო ენათ სთვლის მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენას, სწავლობს ამ სამშობლო ენას და სცდილობს სამეგრელოს ეკონომიურ - კულტურულ აღორძინებაზე. ამის დამამტკიცებელია ის გარემოებაც რომ, როდესაც მეფის მთავრობამ სასტიკად აკრძალა სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლა, მეგრელ ბავშვები სკოლის გარეშე სწავლობდენ ქართულ ენას და ლიტერატურას. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მეგრელ მოწაფეებს სკოლებიდან ითხოვდენ ქართულად ლაპარაკისათვის, როდესაც სამეგრელოს სკოლებში ლევიცკის მუნჯური მეთოდი იყო გამეფებული.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1906 წლამდე, როდესაც ყველა საქართველოს სკოლებში შემოიღეს ქართული ენა, როგორც საგანი, რის შემდეგ კი ჩქარის ტემპით იზრდება და ვითარდება სამშობლო ენის შესწავლა სამეგრელოში. დღეს სენაკის მაზრაში იშვიათად შეხვდებით ისეთ გლეხს, რომელსაც არ ესმოდეს ქართული ენა, ხოლო ზოგიერთ ოჯახებში უფრო ეხერხებათ ქართულ ენაზე ლაპარაკი. მართალია ზუგდიდის მაზრა ამ მხრივ უფრო ჩამორჩენილია, მაგრამ თითქმის მთელ ახალგაზრდობამ იცის ქართული ლაპარაკი. თუ მეგრელმა ცოტათი მაინც იცის ქართული წერა-კითხვა, მას უეჭველად ესმის ქართული ენაც. შეიძლება აქ ვინმემ სთქვას, რომ წერა-კითხვის შესწავლა უფრო ადვილია ვიდრე ლაპარაკისა და მეგრულ ენაზე დაწერილს უფრო ადვილად გაიგებს მეგრელი და სხვ... მართალია წერა-კითხვის შესწავლა უფრო ადვილია ვიდრე ლაპარაკისა, მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ უცხო ენას და არა ქართულს, რომელიც მეგრელისათვის არის დედა ენა და არა უცხო ენა. ეს ცხადზე უცხადესია. რომ მეგრული ენა არის ქართული ენის კილოკავი, მისი უახლოესი ნათესავი—ეს დღეს ანბანური ჭეშმარიტებაა. ვერ შეხვდებით ვერც ერთს კარგად და მოქნილად მოლაპარაკე მეგრელს, რომელიც არ ხმარობდეს ქართულ სიტყვებს მეგრულად ლაპარაკის დროს და ასეთ მოვლენას აქვს მასიური ხასიათი.

მართალია ყოფილი ბრწყინვალე თავადი მიშა დადიანი და მისი დამქაშები—ბუკია და კომპანია გვერდს უხვევენ ასეთ ბუნებრივ მოვლენას და გაურბიან მას, სცდილობენ ახალი სიტყვების შექმნას, რომელიც ყველასათვის გაუგებარია და ამასთანა ოინებით სურთ ფონს გასვლა. რაც შეეხება „მაფალუ“-ელების მტკიცებას თითქოს მეგრულად დაწერილის გაგება მეგრელისათვის უფრო ადვილია, ვიდრე ქართულად დაწერილისა, ეს მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან მეგრული მწერლობა არასოდეს არ ყოფილა (გარდა აშორდიასი), რის გამო წინადადებაში სიტყვების შეწყობა მარტივად და გასაგებად უფრო ძნელია როგორც ხელოვნურად შექმნილი ენისა, და ასეთ ნაწერში მკითხველი ვერ გაარჩევს რომელ ენაზეა დაწერილი (არც მეგრული იქნება და არც ქართული). რომ ასეთი ენის შემოღება სულ მთლად აურევს გზა და კვალს მეგრელ მკითხველ საზოგადოებას, მეგრულს გადააგვარებს და ქართულს ვერ შეასწავლის—ეს უტყუარი ფაქტია.

საინტერესოა, რით ხელმძღვანელობენ ეს ვაჟბატონები, როდესაც სცდილობენ მეგრელ და ქართველ მშრომელ ხალხთა შორის უთანხმოების და განხეთქილების ჩამოგდების და უფსკრულის გათხრას? რა მიზანი აქვთ მათ დასახული? ვისი ჩაგონებით მოქმედობენ ისინი? რა ამოძრავებს მათ—საღი გონება თუ სიბეცე?

იმედია სამეგრელოს მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია გასცემს მათ სათანადო პასუხს და სამუდამოთ დაჰგმობს ამ ვაჟ-ბატონების ვერაგობას და პროვოკაციას.

სამწუხაროდ „მაფალუ“-ელების ფერხულში ჩაბმულან ზოგიერთი პარტიული ამხანაგებიც, რომელნიც როგორც სჩანს ასცდენიან სწორ გზას. სასურველია ამ ამხანაგებმა დროზე გადასინჯონ გადადგმული ნაბიჯები, რომ არ ჩამოშორდენ პარტიის და მასას.

მ. კვარაცხელია.

რადიო-დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ცნობები)

ჩინეთის ამბები

ლიაო-ჩუნ-კაი მოკლეს ჰონკონგელ ვაჭრების მიერ მოსყიდულმა პირებმა

პეკინი, 14 სექტემბ. კანტონიდან მიღებულ ცნობებით, კანტონის ფინანსთა მინისტრის, გომინდანის მემარცხენე ფრთის ბელადის ლიაო-ჩუნ-კაის ერთი მკვლელთაგანი გამოტყდა, რომ ჰონკონგელმა ვაჭრებმა მკვლელებს წინდაწინ გადაუხადეს 10,000 დოლარი და შეპირდენ კიდევ 40,000 დოლარი მიცემას გომინდანის მემარცხენე ფრთის სხვა გამოჩენილ ბელ[illegible]ის მოკვლის შემდეგ.

მდგომარეობა კანტონში ნორმალურია

პეკინი, 14 სექტემბერი. ამჟამად მდგომარეობა კანტონში სავსებით ნორმალურია. ბლოკადა, რომელიც გამოცხადებული აქვს კანტონს ჰონკონგის მიერ, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ქალაქის მომარაგებაზე სურსათ-სანოვაგითა და საწვავ მასალით. ტრამვაის მოძრაობა, რომელიც შეჩერებული იყო საწვავ მასალის ნაკლებობის გამო, აღდგენილია.

კულაკების აგრარული კონფერენცია

მოსკოვი, 15 სექტემბ. გლეხთა ინტერნაციონალის ცნობებით, მემამულე-კულაკების რეაქციონური მოღვაწეები, ცნობილი რეაქციონერის, შვეიცარიის გლეხურ კავშირის წარმომადგენლის პროფესორ ლაურის მეთაურობით, 22 სექტემბერს ბერნში იწვევენ საერთაშორისო აგრარულ კონფერენციას.

ინგლისის ეხლანდელი მდგომარეობა

მოსკოვი. 15 სექ. დღეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო-ეკონომიურ საბჭოს სხდომაზე, ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა, პროფესორმა კეინმა მოხსენება გააკეთა ინგლისის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

„მე ჩამოვედი აქ სასწავლებლად და არა სალაპარაკოთ,—ასე დაიწყო თავისი მოხსენება კეინმა. მაგრამ თქვენგან მე აქ იმდენი გავიგე და და შევისწავლე, რომ არ შემეძლო უარი მეთქვა თქვენს თხოვნაზე გამეშუქებია თქვენს წინაშე ჩემი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა.

ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა განსაკუთრებით საინტერესოა ეხლა იმ დიდ წინააღმდეგობათა გამო რომელსაც ადგილი აქვს ქვეყნის სამეურნეო კონიუნქტურაში. სამუშაო ხელფასი ეხლა საშუალოთ 80-პროცენტით მეტია ომის წინა ხანებთან შედარებით, მაგრამ საცხოვრებელმა მინიმუმმა იმატა 73-პროც. ამის გამო რეალურმა ხელფასმა მოიმატა მხოლოდ 7-პროც. სამუშაო დრო შემცირდა დაახლოვებით 10-პროც. შრომის ინტენსიურობაც ნაკლებია ომის წინა ხანებთან შედარებით მაგრამ ინგლისში შავ ლაქად მაინც რჩება დიდი უმუშევრობა. უმუშევართა რაოდენობა შეადგენს მუშების საერთო რიცხვის 10-პროცენტს.

რა არის ამ მოვლენის მიზეზი?

მომხსენებელი ამ მიზეზს ხედავს იმაში, რომ სამუშაო ხელფასი ინგლისში უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მრეწველობის შემოსავლიან დარგებს შეუძლიათ დიდი ხელფასის მიცემა. ხოლო ნაკლებ შემოსავლიანი დარგები ვერ უძლებენ უცხოელთა კონკურენციას.

სამუშაო ხელფასი ინგლისში უნდა შემცირდეს 20-პროც. რომ იგი შეუთანაბრდეს საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ბელგიის სამუშაო ხელფასს. პირველი ცდა სამუშაო ხელფასის დაკლებისა, დიდი ხანი არაა, რაც მოხდენილ იქნა ქვანახშირის მრეწველობაში, მაგრამ ამ ცდამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ საყოველთაო გაფიცვის შიშით, ინგლისის მთავრობა დათანხმდა სახელმწიფო სალაროებიდან გადიხადოს განსხვავება შრომის ხელფასის უწინდელ დონესა და იმ დონეს შორის რომლის გადახდის შესაძლებლობაც აქვს ნახშირის მრეწველობას. ამის გამო გაიზარდა შემოზიდვა და შემცირდა გაზიდვა.

მთელ რიგ ღონისძიებათა გატარების გზით მთავრობა სცდილობს შეებრძოლოს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას. ერთი ამ ღონისძიებათაგანია—აეკრძალოს ბანკირებს უცხოეთის სესხების განაღდება, ცალკე შემთხვევათა გამოკლებით. ინგლისი არავის აძლევს სესხს. იგი არ აძლევს მას ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილებსაც კი. არსებული მდგომარეობა გავლენას ახდენს სამუშაო ხელფასის დაკლების აუცილებლობის საკითხზე, და არა კაპიტალისტურ მოგებათა შემცირებაზე“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა

ჰეიდელბერგი, 14 სექტ. ჰეიდელბერგში გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა.

ყრილობის გახსნისას პარტიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ველსმა ებერტის ხსოვნის აღსანიშნავად წარმოსთქვა სიტყვა. შემდეგ ველსი დაწვრილებით შეჩერდა „შესრულების პოლიტიკის“ საყოველთაო მიღებაზე, რომელიც ორატორს მიაჩნია „სოციალ-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკის დიდ მიღწევად“.

ველსი იმეორებს სოციალ-დემოკრატიულ პრესის ათასჯერ გადაღეჭილ ფრაზებს გერმანიის კომპარტიის „სრული დაშლის“ შესახებ. ველსის სიტყვით, კომუნისტები მიმართავენ „ახალ ტრიუკებს“, გზავნიან რა საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციებს; ეს დელეგაციები იქ ათვალიერებენ მხოლოდ „პოტიომკინის სოფლებს“.

ველსი გამოსთქვამს იმედს, რომ სოციალ-დემოკრატები შეეცდებიან გავლენა მოახდინონ გერმანიის მთავრობის პოლიტიკაზე.

ყრილობა თავმჯდომარეთ ირჩევს ველსს და ჰაიდელბერგელ სოციალ-დემოკრატ მაილერს.

ყრილობაზე არ სჩანან მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის წარმომადგენლები, რომლებიც, ვითომცდა, დატვირთული არიან მუშაობით მარსელის კონგრესის შემდეგ.

მისალმებებით გამოვიდნენ ავსტრიელი მენშევიკი რაინელი, პოლონელი დელეგატი დომანდო, რუსი მენშევიკი გაროვინი და მენშევიკურ პარტიების სხვა წარმომადგენლები.

ბარტელსის მოხსენება

ჰეიდელბერგი, 14 სექტემბერი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე 14 სექტემბერს ბარტელსმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ პარტიის წევრთა (მამაკაცების) რიცხვი გასული წლიდან 914.000 კაციდან შემცირდა 844,000-დე; ქალების რიცხვი რამდენიმედ გაიზარდა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს 169 გაზეთი.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა მეკლენბურგის ყოფილმა პრემიერმა შტელინგმა, რომელმაც დაიცვა ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის მიღების პრინციპი და სასტიკად დაჰგმო პარტიის წევრების მონაწილეობა ახალ დელეგაციაში, რომლის გაგზავნასაც აპირებს საბჭოთა კავშირში გერმანიის კომპარტია.

საბჭოთა კავშირი ვენის ბაზრობაზე

ვენა, 14 სექ. საბჭოთა კავშირის მიერ ვენის ბაზრობაზე მიღწეული შედეგები მოწმობენ იმას, რომ ავსტრიაში საბჭოთა ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა წარსულ ბაზრობებთან შედარებით, საბჭოთა ნედლი მასალა ძლიერ კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნების ნედლ მასალას უცხოეთის ბაზრებზე.

დადებულია მრავალი გარიგება, უმთავრესად, კვერცხების, ცხენის ძუის და სამკურნალო ბალახეულობათა მიწოდების შესახებ. მრავალი დაკვეთებია მიღებული სატყეო მასალაზე, ბეწვეულობაზე და თევზეულობაზე.

სამეცნიერო აკადემიის 200 წ. თავი

საზეიმო სხდომა დიდ თეატრში

მოსკოვი, 15 სექტ. დღეს დიდ თეატრში გაიმართა მოსკოვის და სარაიონო საბჭოების პლენუმების საზეიმო სხდომა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენელთა თან დასწრებით.

პრეზიდიუმში არჩეული იქნენ მოსკოვის საბჭოს მთელი პრეზიდიუმი და ბევრი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერი.

კამენევის სიტყვა

კამენევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „საბჭოთა სახელმწიფოს დედა ქალაქი—მოსკოვი ულრმესი პატივისცემით და სიამაყით მიესალმება აქ აკადემიას, მისი იუბილეს გამო. ჩვენ მივესალმებით აგრეთვე მსოფლიო მეცნიერების წარმომადგენლებს, რომლებიც იუბილეს ესწრებიან. იმედი მაქვს, რომ ჩვენი სტუმრები აქ ყოფნის დროს დარწმუნდენ, რომ მეცნიერების დღესასწაული არის ყველა მშრომელთა დღესასწაული. მოსკოვი—ძველი დედა ქალაქი არის ამავე დროს განსახიერება ყოველივე ახალის, რაც შექმნილია მშრომელების მიერ. მოსკოვი—მომავლის ჩირაღდანი მიესალმება მსოფლიო მეცნიერებს. მოსკოვს იმედი აქვს, რომ მეგობრული კავშირი დამყარდება მეცნიერებსა და მუშათა რევოლიუციის შორის.

მე მგონია, რომ ჩვენ სწორედ მოვიქცევით, თუ აქ მსოფლიო მეცნიერების წარმომადგენლებს მოუთხრობთ ჩვენს ამოცანებს და მუშაობას. ჩვენ არ დავმალავთ არაფერს ობიექტიურ მეცნიერების წინაშე, ვინაიდან ჩვენი მიზნები იმდენად მაღალია, რომ ჩვენ შეგვიძლია თამამად წავრსდგეთ ყოველ სამსჯავროს წინაშე.

მეცნიერება ამჟამად სტუმრადაა მოსული სოციალიზმთან, სტუმრადაა იმ ქვეყანაში, რომელმაც პირველად დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა. როგორი მეთოდებით ვაშენებთ მას ჩვენ?

დეე, იცოდენ მსოფლიო მეცნიერების წარმომადგენლებმა, რომ ამ მუშაობაში ჩვენ მივსდევთ მათ კვალს. მათ დაშალეს შემადგენელ ნაწილებზე ბუნების საიდუმლოების ელემენტები და დაამხვეს მისტიკის ზეგავლენა კაცობრიობაზე; მათ დაშალეს მზის სხივი, დაშალეს ატომი. მაშ, მსოფლიო მეცნიერებამ გვიცნოს ჩვენ, კომუნისტები თავის მოწაფეებად და მიმდევრებად (მქუხარე ტაში); დეე, ნუ შეშინდებიან ისინი მაშინ, როდესაც, ჩვენ დავშლით კაპიტალისტურ საზოგადოებას. ჩვენ გამოვააშკარავეთ ადამიანთა მიერ ადამიანის ჩაგვრის საიდუმლოება, დავშალეთ ომი და გამოვამჟღავნეთ მისი მატყუარა ლოზუნგები. არ გვეშინია რა ჭეშმარიტების, ჩვენ გამოვამჟღავნეთ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ბუნება—უმცირესობის უმრავლესობაზე ძალდატანების ორგანიზაცია.

ჩვენ ამისათვის წყევლა-კრულვით გვიხსენიებენ და გვაცხადებენ დამნაშავეებათ, ცივილიზაციის საფუძვლების შემრყევებად და ცივილიზაციის მთავარ უჯრედის დამგრევლად მაგრამ განა, თქვენ ბრალს არ გდებდენ იმაშივე, განა თქვენ ცრუმორწმუნოების წინაშე არ გთვლიდენ დამნაშავეებათ, შეთქმულებათ და ღვთის კანონების დამღრვევლებად? განა ამაში არ სდებდენ ბრალს გალილეის, ჯორდანო ბრუნოს, დიდროს? განა საზოგადოებრივ წესრიგის შემრყევლად არ აცხადებდენ დარვინს?

დიაღ, ჩვენ ვსთვლით თავს დამნაშავეთ ასეთ „უკანონო მოქმედებაში“. დიაღ, ჩვენ დამნაშავე ვართ ძველი წყობილების წინააღმდეგ შეთქმულებაში. დიახ, ჩვენ მეამბოხეები ვართ ძველი ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვიმყოფებით იმ დამნაშავეთა ჯგუფში, რომლებიც ატარებენ გალილეის, დარვინის, ლაპლასის და დიდროს სახელებს.

ვშლით რა იმ მთავარ ელემენტებს, რითაც გაბატონებული კლასები იმორჩილებენ და სჩაგრავენ კაცობრიობას, ჩვენ ვმოქმედობთ იმავე ფორმულით, რომელიც საფუძვლათ უდევს მთელ სამეცნიერო განვითარებას. ჩვენ ვსარგებლობთ მოძრაობის პრინციპით, რომელზედაც ემყარება მეცნიერების ყველა მონაპოვრები. „ყველაფერი მოძრაობს“, სთქვა მეცნიერებამ და უარჰყო საგნების უმოძრაობა. „ყველაფერი მოძრაობს“ დაადასტურა მუშათა კლასმა და ამისათვის ამხობს ძველ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას,—კაპიტალისტურ წესწყობილებას, ომის წესწყობილებას. ჩვენთვის არ არსებობს წმინდათა წმინდა, არის მხოლოდ ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობის ასეული მილიონები, პირველად საბჭოთა ქვეყანაში, საბჭოთა სახელმწიფოს და პროლეტარიატის დიქტატურის ფორმით, ყოველგვარ ჩაგვრის და ძალადატანების წინააღმდეგ ბრძოლაში, იკაფავენ გზას მთელი კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ჩვენ ვმუშაობთ აშკარად მთელი ხალხის დასანახავათ და მზად ვართ მეცნიერების სამსჯავროზე გამოვიტანოთ ყველა ჩვენი მიღწევები. და არა მარტო მატერიალურ დარგში არამედ ყველა სხვა დარგებში ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ დიდი გამარჯვებებით. არსად მსოფლიოში, გარდა საბჭოთა კავშირისა, ასე არ არის განხორციელებული ხალხთა მასსების ფაქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმავე ენერგიით და იმავე რწმენით, რომლითაც ჩვენ დავიწყეთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, ჩვენ განვაგრძობთ მას და კიდეც დავასრულებთ.

ამჟამად ლაპარაკობენ ევროპის ცივილიზაციის აღსასრულზე. ჩვენ—კომუნისტები, „დამგრეველები“ ვაყენებთ ცივილიზაციის აღორძინების მისი ყველა მშრომელთა ძმურ თანამშრომლობით განვითარების იდეას. კი არ დავანგრიოთ მეცნიერება, არამედ გავხადოთ იგი ყველა მშრომელთა კუთვნილებათ,—ამაშია ჩვენი რევოლიუციის ამოცანა. მუშათა რევოლიუცია და მეცნიერება ძმებია, მათ შეუძლიათ არსებობა მხოლოთ მოძრაობით წინ. ორივეს ამოცანაა—უზრუნველჰყოს მთელი კაცობრიობის ბედნიერება.

აქ, მოსკოვში თქვენ გეძლევათ პირველი შემთხვევა შეისწავლოთ, თუ როგორ შენდება სოციალიზმის სამეფო დაკოჟრილი ხელებით. შეისწავლეთ იგი მუშებისა და გლეხებისაგან, როგორც ისინი სწავლობენ თქვენგან.

გაუმარჯოს მეცნიერების, შრომის და მუშათა რევოლიუციის კავშირს!

კამენევის სიტყვები მქუხარე ტაშით და „ინტერნაციონალი“-ს სიმღერით იფარება.

საპასუხო სიტყვას ამბობენ კარპინსკი, ფერსმანი და მრავალი უცხოელი მეცნიერი.

კამენევის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება იხურება „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

ბანკეტი კავშირთა სახლში

მოსკოვი, 14 სექტემბერი. კავშირთა სახლში მთავრობამ გამართა ბანკეტი სამეცნიერო აკადემიის 200 წლის იუბილეს გამო.

ბანკეტს დაესწრენ: კალინინი, კამენევი, ენუქიძე, სმილგა, ლუნაჩარსკი, სემაშკო, ლიტვინოვი და სხვ., მთელი დიპლომატური კორპუსი, აკადემიის იუბილეზე ჩამოსული ყველა უცხოელი მეცნიერები, აკადემიკოსები და ბევრი მოწვეულები, სულ 500 კაცამდე.

მოსკოვის საბჭოს პირველ სიმფონიურ ანსამბლის მიერ შესრულებული იქნა კონცერტი. კალინინი მიდიოდა სტუმრებთან, რომლებიც ტაშით ეგებებოდენ. ბანკეტი ნაშუაღამევს გათავდა.

უცხოელი მეცნიერები მოსკოვში

მოსკოვი, 15 სექტემბ. უცხოელმა მეცნიერებმა დაათვალიერეს საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებები, ლენინის მავზოლეი, ტრეტიაკოვის გალერეა, მეცნიერთა სახალხო რევოლიუციის მუზეუმი, ლენინის სახალხო წიგნთსაცავი და „პოდმასკოვნის“ სანატორიუმი „უზკოე“, სადაც ისვენებენ საბჭოთა კავშირის მ[illegible]

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

მიმართვა საბჭოთა კავშირის მუშებისადმი

ლონდონი, 14 სექტ. ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის დახურვის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელმა მიიღო შემდეგი მიმართვა საბჭოთა კავშირის მუშებისადმი საერთაშორისო მთლიანობის საკითხის შესახებ:

„გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ტრედ-იუნიონების ბრიტანეთის კონგრესმა პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის შესახებ, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს წინ საერთაშორისო გაერთიანების გზაზე. ყრილობაზე გამეფებული სულიერი განწყობილება საკმარისად ადასტურებს იმას, რომ ინგლისის პროფმოძრაობა დახმარებას აღმოუჩენს ყველა სხვა ქვეყნების პროფკავშირებს იმ ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც მიმართული იქნებიან პროფმოძრაობის გაერთიანებისაკენ“.

მიმართვას ხელს აწერს დობბი, თავმჯდომარე რკინისგზელთა ნაციონალური კავშირისა, რომლის გენერალური პოლიტიკური მდივანია პროფმოძრაობის მემარჯვენე ფრთის ბელადი ტომასი.

მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლების ტაქტიკა

ლონდონი, 14 სექტ. ფიქრობენ, რომ გენერალურ საბჭოს მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლების ტაქტიკა მიმართული იქნება იმ თვალსაზრისის დაცვისაკენ, რომ კონგრესის რეზოლუციით გათვალისწინებული საყოველთაო ინტერნაციონალი და შესაძლებელი საერთაშორისო კონფერენცია არ უნდა ნიშნავდეს ამსტერდამის ინტერნაციონალის, პროფინტერნის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევას.

ტომასი, ალბად, დაჟინებით მოითხოვს რომ იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მოწვეული იქნება, მასში მონაწილეობა მიიღონ ნაციონალურმა, და არა საერთაშორისო, ორგანიზაციებმა. თუ ეს პრინციპი მიღებული იქნა, მაშინ მემარჯვენეებს იმედი აქვთ, რომ კონფერენცია გადაიქცევა კომედიათ.

პოლიტტის საუბარი პრესის წარმომადგენელთან

ლონდონი, 14 სექტ. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში პოლიტტმა კატეგორიულათ განაცხადა, რომ თუ ამსტერდამის ინტერნაციონალი უარს იტყვის რუსეთთან დაუყოვნებლივ შეხვედრაზე, მაშინ ინგლისის სათათბირო საბჭო მოიწვევს საერთაშორისო კონგრესს.

ამ თვალსაზრისის შესახებ პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთის არაკომუნისტურ წრეებში ხაზს უსვამენ, რომ სათათბირო საბჭოს არა აქვს აღმასრულებელი ფუნქციები და არაა სასურველი, რომ მან გადააჭარბოს თავის უფლებებს. კონფერენციის მოწვევა, ამ წრეების აზრით, უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიენდოს ავტორიტეტულ, ტრედ-იუნიონთა გენერალურ საბჭოს მაგვარ ორგანიზაციას.

„ზინოვიევის წერილის“ გარშემო

ხარბორო, 13 სექტ. ინგლისის პროფკავშირთა ყრილობაზე 10 სექტემბრის დილის სხდომაზე მეზღვაურთა კავშირის წარმომადგენელმა, კომუნისტმა ბიჩამმა შეიტანა შეკითხვა: მოსთხოვა თუ არა გენერალურმა საბჭომ მაკდონალდს ბოდიშის მოხდა რაკოვსკის და მთელი ინგლისის მუშათა მოძრაობის წინაშე იმ თავხედური წერილისათვის, რომელიც გაუგზავნა მაკდონალდმა პრემიერათ ყოფნის დროს რაკოვსკის ზინოვიევის ყალბი წერილის გამო, რომელმაც დამარცხება არგუნა მუშათა პარტიას არჩევნებში?

მარჩენტმა გენერალურ საბჭოს სახელით უპასუხა, რომ გენერალურმა საბჭომ ოფიციალურათ იცნო „ზინოვიევის წერილი“ სიყალბედ და რაღა საჭიროა ბოდიშის მოხდის მოთხოვნაო.

ტომასმა განაცხადა, რომ მაკდონალდის საქციელით უკმაყოფილო პირებს შეუძლიათ დასვან ეს საკითხი ორი კვირის შემდეგ მუშათა პარტიის კონგრესზე ლივერპულში, რომელზედაც დაესწრება მაკდონალდი.

ჩინეთის შესახებ

მოკლე კამათის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მოითხოვს ინგლისის შეიარაღებულ ძალების დაუყოვნებლივ გამოყვანას ჩინეთიდან.

სავაჭრო შეღავათები საბჭოთა კავშირს

ყრილობამ აგრეთვე ერთხმად და უკამათოდ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ სავაჭრო შეღავათები გავრცელებული იქნეს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზედაც.

დამონებულ აღმოსავლეთის დასაცავად

მიღებული იქნა აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დელეგატების გაგზავნას ინდოეთში, ჩინეთში და ეგვიპტეში; ამ დელეგატებმა უნდა წარუდგინონ მოხსენება გენერალურ საბჭოს იმის შესახებ, თუ როგორ პირობებში შეიძლება დახმარების გაწევა პროფმოძრაობისათვის აღნიშნულ ქვეყნებში.

უბედურების შემთხვევები

სხდომის დასასრულ განხილულ იქნა მოთხოვნილებები მუშებისათვის უბედურების შემთხვევების ანაზღაურების წესის გაუმჯობესების შესახებ. ამ საკითხის განხილვის დროს მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ მაშინ, როცა ინგლისმა 5 წლის ომის განმავლობაში დაჰკარგა 1,700,000 კაცი, უბედურ შემთხვევების გამო მრეწველობაში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაზარალდა 1,900,000 კაცი.

მწარმოებლებთან დამოკიდებულება

11 სექტემბრის დილის სხდომაზე ცხარე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ შეთანხმებებს, რომლებიც ნებაყოფლობით იქნება დადებული მწარმოებლებსა და მუშებს შორის და დამტკიცებული იქნება მწარმოებლების და მუშების სამრეწველო საბჭოების მიერ, ეძლეოდეს კანონის ძალა.

დაუესის გეგმის წინააღმდეგ

ხელმეორედ კამათი გამოიწვია რეზოლუციამ, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი გერმანელ მუშების დაჩაგვრის წინააღმდეგ დაუესის გეგმის წყალობით, და მიმართვა გერმანელ მუშებისადმი გაუწიონ დახმარება გენერალურ საბჭოს ბრძოლაში პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობისათვის, „რომელიც საშუალებას მისცემს მუშებს იბრძოლონ საერთაშორისო მასშტაბით დაუესის გეგმის გაუქმებისათვის“.

ეს რეზოლუცია წარმოდგენილი იყო კომუნისტების ზეგავლენით ხის დამმუშავებელთა კავშირის წარმომადგენელის მიერ რეზოლუციის მხარი დაუჭირა კუკმა.

ერთნაირი ხელფასი

შემდეგ უკამათოდ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ავალებს გენერალურ საბჭოს აწარმოოს მოლაპარაკება ამსტერდამის ინტერნაციონალთან იმის შესახებ, რომ მან ხელი შეუწყოს იმ შეთანხმების დადებას, რომლის ძალით ერთნაირი სამუშაო ხელფასი უნდა იქნეს ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის გემების სამშენებლო მრეწველობაში და საზღვაო ტრანსპორტზე.

მიწათმოქმედების შესახებ

12 სექტემბრის საბოლოო სხდომაზე დილით გადასინჯული და მიღებული იქნა მთელი რიგი რეზოლუციებისა მიწათმოქმედების შესახებ, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო კონტროლის დაწესებას დაუმუშავებელ მიწაზე.

არჩევნები

უკანასკნელი სხდომის დასასრული მოუნდა გენერალურ საბჭოს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას. საბჭოს შემადგენლობა თითქმის წინანდელი დარჩა. მემარცხენეებმა შეინარჩუნეს წინანდელი ადგილები, მაგრამ მემარჯვენეები გაძლიერდენ, რადგან მათ ეხლა წარმოადგენენ უფრო გამოჩენილი ბელადები, ვინემ წინად.

ყრილობის შედეგები

ლონდონი, 13 სექტ. ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის შედეგებს, თუ ვიმსჯელებთ სხვადასხვა მეთვალყურეების აზრის მიხედვით, შეგვიძლია ასეთი ჯამი გაუკეთოთ:

მემარცხენე მიმდინარეობის გაძლიერება

პროფკავშირთა მასსა მისწრაფვის აქტუალურ პრობლემების არა თუ სერიოზულ განხილვისაკენ, არამედ ის მოწადინებულია, რომ ამას მოჰყვეს აქტიური ხელმძღვანელობა.

ეს გამოხატულებას პოულობს თვით იმ დელეგატების გამოსვლებში, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ თანამდებობის პირები მრავალი წლის განმავლობაში. შეიძლება ერთხელ კიდევ ითქვას, რომ მასა გაცილებით უფრო მემარცხენეა, ვინემ მისი ბელადები.

მემარჯვენე ფრთის ლიდერები საბოლოოდ დარჩენ უმცირესობაში და ისინიც გრძნობენ ამას. თუ პირველი ორი დღის განმავლობაში მათ კიდევ შესძლეს ნაწილობრივ ტაქტიკურ გამარჯვებების მიღწევა მუშათა პარტიის და გენერალურ საბჭოს შენობათა გაყოფის და აგრეთვე მთლიან კავშირის საკითხებში, ეს უმთავრესად აიხსნება იმ გარემოებით, რომ მემარცხენე ფრთა არ უწევდა არავითარ წინააღმდეგობას.

როცა გამოირკვა, რომ მემარცხენე ფრთის ლიდერებს არ სურდათ პრინციპიალური გალაშქრება არც ერთ საკითხში, გარდა საერთაშორისო მთლიანობის საკითხისა, უმცირესობის მოძრაობის მცირე ჯგუფმა თვითვე დაიწყო გამოწვევა — გამოიდა სამშაბათს რეზოლუციით პროფკავშირთა მიზნების შესახებ და მოახერხა მთელი რიგი კონტრ-იერიშების მიტანა მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ. ეს მოხდა პროფესიონალურ მთლიანობის საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს ხუთშაბათს. აგრეთვე იმპერიალიზმის შესახებ გამართულ კამათის დროს შაბათს, როცა ტომასმა იგემა სასტიკი დამარცხება.

მემარჯვენეების პოზიცია შემდეგ კიდევ უფრო გაართულა განხეთქილებამ ტომასსა და ბევინს შორის. უკანასკნელი თავიდანვე სასტიკ პოზიციას ადგა. ბევინი შეეცადა ეთამაშა ძლევამოსილი შუამავლის როლი მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის შორის, ნამდვილად კი ცდილობდა ხელში ჩაეგდო ანტი კომუნისტური ფრთის ხელმძღვანელობა.

მემარცხენე ფრთის ტაქტიკა

მემარცხენე ფრთამ მაინცა და მაინც დიდათ ვერ ისახელა თავი ყრილობაზე, თუმცა რასაკვირველია, სწორედ მისი პოლიტიკა იყო მოწონებული საერთაშორისო მდგომარეობის განხილვის დროს.

პირველი სამი დღის განმავლობაში მემარცხენე ფრთამ დაუშვა ტაქტიკური შეცდომა, დასტოვა რა ინიციატივა მემარჯვენეების ხელში, რომლებიც საუკეთესოდ იყვნენ შეკავშირებული. მემარცხენე ფრთის ლიდერები, ერთი თუ ორი ინდივიდუალური გამოსვლის გარდა, არ უპასუხებდენ გამოწვევას მემარჯვენეების მხრივ. ასეთი ტაქტიკის მიზანი ნათელი იყო: მემარცხენე ფრთას უნდოდა რამენაირად ზიანი არ მიეყენებია მთავარი მიზნისათვის, სახელდობრ საერთაშორისო მთლიანობის საკითხისათვის და არ სურდა დამარცხებულიყო უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებში. მაგრამ იმ ფაქტმა, რომ პირველ საკითხშიაც, სახელდობრ, ტრედიუნიონების კონგრესის და მუშათა პარტიის საერთო შენობის გაყოფის საკითხში, მემარჯვენეები დამარცხდენ, ნათელი გახადა კონგრესისათვის, რომ უკვე აღარ არსებობდა საფრთხე, რომლისაც ეშინოდათ მემარცხენეებს.

ბოლოს მემარცხენე ფრთის დაეტყო აქტიურობა, მაგრამ, როგორც კი გამოირკვა ნაშუადღევის სხდომაზე პარასკევს, მან ხელიდან გაუშვა საუკეთესო შემთხვევა, როცა ირჩეოდა საკითხი სამრეწველო საბჭოს მიერ მოწონებულ ნაციონალურ შეთანხმებათათვის კანონის ძალის მიცემის შესახებ.

მემარცხენეებმა განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს იმპერიალიზმის შესახებ გამართულ კამათის დროს, მაგრამ ამ დროს მემარცხენე ბლოკის მორალური ხელმძღვანელობა უკვე გადავიდა უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლების ხელში.

პირველი დღის შემდეგ სავსებით ნათელი გახდა, რომ მემარცხენე ფრთის საწინააღმდეგო მოძრაობის როგორც შემაკავშირებელი, ისე მორალური ხელმძღვანელობა იყო არა გენერალურ საბჭოში, არამედ უმცირესობის მოძრაობის ფრაქციაში.

ორი დღის განმავლობაში უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლებს ეჭირათ დროის დაცდის პოზიცია, რაც ნათელი გახდა ცალკე ორატორების, მაგალითად, პოლიტტის და ელსბერგის გამოსვლებით. მაგრამ, სამშაბათიდან დაწყებული, ამ ჯგუფმა, როგორც სჩანს, გაითვალისწინა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა და მისი პოზიცია სავსებით შეიცვალა. უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და კონგრესის იმ დელეგატების უმრავლესობამ, რომლებიც თავისი იდეოლოგიით ძალიან შორს იდგენ კომუნისტებისაგან, სურვილი განაცხადეს მიეცათ ხმა კომუნისტების რეზოლუციისათვის.

კომუნისტების რეზოლუციები

უნდა აღინიშნოს, რომ ხუთივე რეზოლუცია, რომელთა მიმართაც კონგრესმა ყველაზე მეტი ინტერესი გამოიჩინა, სახელდობრ: პროფკავშირთა მიზნების შესახებ, საერთაშორისო მთლიანობის შესახებ, ჩინეთის შესახებ, დაუესის გეგმის და იმპერიალიზმის შესახებ,—ყველა ეს რეზოლუციები წარმოდგენილი იყო კომუნისტების მიერ და უმცირესობის მოძრაობის წრეებში უკვე ერთი კვირით ადრე იყო განხილული კომპარტიის ორგანო „უორკერს უიკლი“-ში. კიდევ მეტი — უმეტეს შემთხვევაში რეზოლუციები შემქონდათ კომუნისტებს ან უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლებს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს კუკი, რომლის გამოსვლა, როგორც ეს გენერალურ საბჭოს ზოგიერთმა წევრებმაც აშკარად აღიარეს, საკმაო იყო ყოველი რეზოლუციის ჩასაშლელად, თუნდაც ძალიან კარგი და სასარგებლოც ყოფილიყო ის. კონგრესის ბოლოს თვით ამ ლიდერებმაც აღიარეს, რომ „სწორედ კომუნისტებმა განსაზღვრეს კონგრესის მსვლელობა და ტემპი“.

გარდატეხა მუშათა მასებში

და ეს მაშინ, როცა ყრილობის 700 დელეგატ შორის 25 თუ 30 ემხრობოდა უმცირესობის მოძრაობას. თუ, მიუხედავად ამისა, კონგრესმა ანგარიში გაუწია უმცირესობის მოძრაობის ხელმძღვანელობას, ეს მოწმობს იმ დიდ გარდატეხას, რომელიც ხდება მუშათა მასაში.

ეჭვს გარეშეა, რომ განწყობილება, რომელიც გამეფებული იყო პროფკავშირთა ყრილობაზე, ჰპოვებს თავის გამოხატულებას მუშათა პარტიის ყრილობაზედაც, რომელიც უნდა შესდგეს 29 ოქტომბერს. ამ ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებენ იგივე პროფკავშირები, თუმცა მემარჯვენე ფრთა ამ ყრილობაზე გაცილებით უფრო ძლიერი იქნება, რადგან მას დაესწრებიან დელეგატები საშუალო კლასიდან. დამოუკიდებელ მუშათა პარტიიდან და მუშათა პარტიის ადგილობრივ განყოფილებიდან, რომ არ ვილაპარაკოთ იმ ძლიერ ანტიკომუნისტურ ტენდენციაზე, რომელიც არსებობს მუშათა პარტიის აღმასკომში.

საკავშირო საპლანერო შეჯიბრება

მოსკოვი, 13 სექტ. 13 სექტემბერს სიმფეროპოლიდან ფეოდოსიაში ჩავიდნენ ყველა საბჭოთა პლანერები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საკავშირო საპლანერო შეჯიბრებაში.

შეჯიბრება მოხდება სოფელ სულტანოვკაში ფეოდოსიის მახლობლად.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ გერმანელი პლანერისტებიც თავ-თავისი პლანერებით, მათ შორის ცნობილი შეფ-პილოტი მარტინი.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე

ნიჟნი-ნოვგოროდი, 15 სექტემბერი. კვირას ნიჟნი-ნოვგოროდში ჩავიდა ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დელეგაცია, რომელიც გაეცნობა ვაჭრობის მიმდინარეობას ბაზრობაზე. დელეგაცია დაესწრო ბანკეტს, რომელიც მოაწყო აღმოსავლეთის ვაჭრებმა საბაზრო კომიტეტის საპატივცემლოთ.

ფ. მახარაძის მოგზაურობა სვანეთში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

18 სტემბერს დამთავრდა ფ. მახარაძის მოგზაურობა ქვემო და ზემო სვანეთში, სადაც დავყავით ათი დღე. გამართული იყო მრავალი კრებები, რომლებზედაც სვანი გლეხები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ; მოსმენილი იქნა მრავალი თხოვნები და საჩივრები.

ცხენებით გავიარეთ 480 ვერსამდე. 14 სექტემბერს ლატპარის უღელტეხილით გადავედით რაჭის მაზრაში.

ლ. მეტრეველი.

ა.-ფედერაციაში

საქართველო

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის კამპანია.

ახალქალაქი. 14 სექტ. ადგილებიდან მიღებულია ცნობები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დაწყების შესახებ. გლეხობა თანაგრძნობით ეკიდება გადასახადს და სურვილს გამოსთქვამს, რომ კანონით განსაზღვრულ ვადებზე ადრე შეიტანოს მთელი გადასახადი. გადასახადის თავის დროზე შეტანისათვის თვალყურის სადევნებლად სამაზრო საფინანსო განყოფილებიდან გამოყოფილია 5 პასუხისმგებელი მუშაკი. თვითეული ამათგანი კონტროლს უწევს ორ თემს; ამას გარდა მოწვეული არიან მოანგარიშეები. თითო კაცი რვა თემზე.

სიღნაღი, 14 სექტემბ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა დაიწყო ყველა თემებში; ჯერ-ჯერობით აკრეფილია 4.000 მანეთი.

თემკომების მდივნებისათვის კვირეული კურსები.

ახალ-სენაკი. 14 სექტ. გაიხსნა კვირეული კურსები თემკომების მდივნებისა და თემების ცენტრალურ უჯრედებისათვის. ჩაწერილია 36 მსმენელი.

მოსავლის აკრეფა.

ახალ-სენაკი. 14 სექ. სიმინდის აკრეფა მაზრაში ჯერ არ დაწყებულა. მოსავალი დამაკმაყოფილებელი იქნება

სომხეთი

სტიპენდიანტები სამუშაოზე.

ერევანი. 14 სექტ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაევალოს სომხეთის მთავრობის სტიპენდიანტებს კურსის დამთავრების შემდეგ დაბრუნდნენ თავის სამშობლოში მუდმივ სამუშაოზე.

სკოლები ასურელთა სოფლებისათვის.

ერევანი, 14 სექტ. მომავალ სასწავლო წლიდან ასურელთა სოფლებში გაიხსნება ახალი სკოლები. სომხეთში მცხოვრებ 800 კომლ ასურელთაგან 800 ბავშვი სასკოლო ასაკისაა.

აზერბეიჯანი

გადასამზადებელი კურსები.

ლენქორანი, 14 სექტემბერი. დამთავრდა საბჭოთა ქვედა აპარატში მომუშავეთა გადასამზადებელი კურსები.

კურსები წარმატებით დაამთავრა 106 კაცმა, რომლებიც უკვე გაემგზავრნენ ადგილებზე.

მკვლელობა.

ლენქორანი, 14 სექტემბერი. ოთხი ბოროტმოქმედის მიერ მოკლულია თავის სახლის ეზოში ძმები ნოსრულლა და მეშადი-აბდულა. უკანასკნელი ადგილობრივ სოფლის კომიტეტის წევრი იყო. ეჭვით დატუსაღებულია 6 კაცი.

მეორე სახელმწიფო მომგებიანი სესხის მეოთხე ტირაჟი თბილისში

სატირაჟო კომისიის საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, შესდგა სატირაჟო კომისიის საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. შ. ელიავამ.

ამხ. შ. ელიავას მოხსენება

მე-2 სესხი—ეს არის ოპერაცია, რომლის მიზანია შინაური კრედიტების მიღება მოსახლეობისაგან. ასეთი დახმარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წლებში იმიტომ, რომ სწორედ უკანასკნელ წლებში გამაგრდა და გაძლიერდა ეკონომიურად და პოლიტიკურად საბჭოთა სახელმწიფო იმდენად, რომ შესაძლებელი გახდა მოსახლეობისადმი მიმართვა დახმარებისათვის.

მე-2 სესხი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ყველა სხვა ღონისძიებებიც უკანასკნელ წლებში დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ სიძლიერის განმტკიცებასთან. თუ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ჩვენ არ გვცნობდენ და არ უნდოდათ ჩვენთან ლაპარაკი, საბჭოთა კავშირის განმტკიცების შემდეგ ჩვენ გვიცნო მრავალმა სახელმწიფოებმა, მაგრამ წინანდელი ცდები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს დამხობა იარაღის საშუალებით, შესცვალა ბრძოლის ახალმა საშუალებამ ეკონომიური ბლოკადის სახით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ეკონომიურ ბლოკადის შინაარსს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები არ აძლევენ საბჭოთა კავშირს კრედიტებს. მაგრამ ამ ცდის განხორციელების დროს ევროპის ბურჟუაზია რწმუნდება, რომ საბჭოთა ქვეყნის შესუსტება შეუძლებელია, რომ ეკონომიურ ბლოკადას ჩვენ უპასუხებთ ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ზრდით, ჯანსაღი საფინანსო მეურნეობის ნიადაგზე.

— ჩვენ,—განაგრძობს ამხ. ელიავა,—ევროპის კრედიტების გარეშეც შევძლებთ ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ საქმეში უდიდეს როლს თამაშობს სახელმწიფო კრედიტი, რომელიც ხმარდება უმთავრესად მეურნეობის აღდგენას.

ჩვენ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ვაწარმოებთ საფინანსო და სამეურნეო თავდაცვას. მაგრამ ჩვენ უნდა ვემზადოთ არა მარტო თავდაცვისათვის, არამედ შეტევისათვისაც, რადგან ამ ჟამად ძლიერი ბრძოლა სწარმოებს გავლენის მოსაპოვებლად. ჩვენ არა თუ კიდევ უფრო უნდა გავძლიერდეთ ორგანიზაციულად, არამედ უნდა ვემზადოთ იმისთვის, რომ საჭირო მომენტში მნიშვნელოვან ფაქტორად გავხდეთ საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში.

თუ ჩვენ გავადიდებთ წარმოებას, განვამტკიცებთ ჩვენს კაპიტალს, თუ ჩვენ აღვადგენთ და განვავითარებთ ჩვენს მეურნეობას, მაშინ ბურჟუაზია ჩვენგან ისესხებს ფულს, რადგან ის დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის ბაზრების უქონლობის გამო. როდესაც ის დარწმუნდება, რომ ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ძალებით გამოვიდეთ საბჭოთა აღმშენებლობის ფართო გზაზე, მაშინ ჩვენ შევძლებთ, თუ ეს საჭირო იქნება, უცხო კრედიტის მიღებასაც.

გაუმარჯოს მუშებს და გლეხებს, გაუმარჯოს მათ ბრძოლას ქვეყნის განმტკიცებისა, მეურნეობის გაუმჯობესებისა და მატერიალური დოვლათის გადიდებისათვის.

სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი; შესრულებული იქნა მეორე აქტი ოპერა „ქეთო და კოტე“-დან, საბალეტო ნომრები და სხვა.

ოფიციალური ცხრილი

მე-2 სახელმწიფო მომგებიანი სესხის მოგებათა მე-IV ტირაჟისა

15 სექტემბრის საღამოს სხდომაზე სატირაჟო კომისიის მიერ გათამაშებულია 200 მოგება.—თვითეული 50 მანეთის ღირებულებისა. **მოგება ხვდა** ყველა 20 სერიის ობლიგაციების ქვემო ჩამოთვლილ ნომრებს:

0.125.289
0.276.679
0.405.068
0.426.221
0.467.052
0.497.294
0.669.459
0.779.797
0.822.082
0.883.521

მოგებათა გაცემას აწარმოებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი შემდეგი გაზეთების — „Известия ЦИК СССР“, „Заря Востока“-ს და „კომუნისტი“-ს იმ ნომრების გამოსვლის სამი დღის შემდეგ, ხოლო ადგილებზე-კი მიღებიდან 3 დღის შემდეგ, სადაც გამოქვეყნებული არის მოგებათა ოფიციალური ცხრილები.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე **ელიავა**
სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ოზოლინი**
წევრები: **ხმელევსკი, საფარიანი, მიქელაძე, ბურიკინი, ბუზნიკოვი, ფანცხავა, გრიგოლია, ოტრობლიანკო, პეტროვი.**
მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი | **სოკოლოვი, ახმაროვი.**
მდივანი: **ვლოვენკოვი.**

რით განსხვავდება მეორე სახელმწიფო სესხი პირველისაგან

მეორე მომგებიანი სესხი გამოშვებულია 1924 წელს მარტში 100.000.000 მანეთს რაოდენობით ხუთი წლის ვადით. ამ სესხის ნორმალური ჯამი იმდენივეა, როგორც პირველის, ხოლო ვადა ამ სესხისათვის პირველ სესხის ვადასთან შედარებით ორჯერ ნაკლებია. მეორე მომგებიანი სესხი გამოშვებულია 20 სერიად, თვითეული სერია შეიცავს 5 მილიონს, სესხს აქვს სამგვარი ობლიგაცია—5 მანეთიანი ღირებულების (ერთი ნომრით), 10 მანეთიანი (ორი ნომრით) და 50 მანეთიანი (10 ნომრით).

სესხის შემოსავლის რაოდენობა, რომელიც ეძლევა ობლიგაციის მეპატრონეს იმდენივეა, როგორც პირველი სესხის, სახელდობრ: მეპატრონეს ეძლევა 6 პროცენტიანი წლიური სარგებელი, ამასთანავე სარგებლის გადახდა იწარმოებს ერთხელ წელიწადში—ყოველ წლის 15 დეკემბერს. სარგებლის მიღების გარდა, ობლიგაციების მეპატრონეებისათვის 5 წლის განმავლობაში გათამაშებული იქნება 7.500.000 მანეთის თანხა, რაც მთელი სესხის ნომინალური ღირებულების 15 პროცენტს შეადგენს.

პირველ მომგებიან სესხის მიხედვით სახელმწიფო, მოგებათა სახით იხდის საშუალოთ ერთ პროცენტს; ამგვარად მეორე სესხის მოგებათა გადასახდელად, შედარებით პირველ სესხთან, გადადებულია ერთნახევარჯერ მეტი თანხა, გარდა ამისა მეორე მომგებიანი სესხის მოგებათა ყოველწლიური ჯამი ყველა 5 წელზე განაწილებულია თანაბრად, მაშინ, როცა პირველი მომგებიანი სესხის მოგება 5 წლის განმავლობაში შეადგენდა 1,6 პროცენტს. მეორე სესხის მოგებათა ტირაჟი ორჯერაა წელიწადში 1924—28 წლების განმავლობაში, და ერთხელ 1929 წლის განმავლობაში.

მეორე მომგებიანი სესხის გამოშვების დროს საბჭოთა მთავრობამ ანგარიში გაუწია ფართე მასების სურვილს და ყველაზე მსხვილ მოგებად დააწესა 5 ათასი მანეთი წინააღმდეგ 100 ათასი მოგებისა პირველი სესხის მიხედვით. ამასთანავე მეორე სესხში არ არის 20 მანეთიანი მოგება.

ტირაჟის წარმოების წესი და ტეხნიკა ისეთივეა, როგორც პირველი სესხის დროს.

სად და როგორ შეიძლება სესხის მოგების და პროცენტის მიღება

ბევრ მოქალაქეს აინტერესებს, თუ სად, როგორ მიიღებს მოგებას და პროცენტს.

ტირაჟის დასრულების შემდეგ ფინ. სახ. კ-ტი სცემს ცალკე წიგნაკებად მოგებათა სატირაჟო ცხრილებს, რომელნიც ეგზავნებათ ფინ. სახ. კ-ტის და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს. ამ ოფიციალური ცხრილების მიხედვით ხდება მოგებათა გასტუმრება. სატირაჟო ცხრილები იყიდება პერიოდიულ გამოცემების საგენტოებში, მაგრამ ოფიციალურ ცხრილების გამოცემამდე, ცხრილები ტირაჟის თამაშების დროს იბეჭდება „Известия“-სა, „ზარია ვოსტოკა“-სა და „კომუნისტ“-ში, ამ გაზეთებში მოთავსებულ ცხრილების მიხედვით ხდება მოგების გასტუმრება გაზეთების ადგილზე მისვლის მესამე დღიდანვე.

არაოფიციალური ხასიათის ცნობები და ცხრილები იბეჭდება აგრეთვე თითქმის ყველა პროვინციალურ და სატახტო გაზეთებში

მეორე მომგებიანი სესხის მოგებათა გაცემა სწარმოებს სახელმწიფო ბანკის ყველა დაწესებულებებში. მოგების მისაღებად საჭიროა დაწესებული ფორმის განცხადების დაწერა და მასზედ მომგებიანი ობლიგაციის თანდართვა. ამასთანავე საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ მოგებათა და მის მისაღებად არა უმეტეს 500 მანეთისა არსებობს ერთი წესი, ხოლო 5000 მანეთიანი და 1000 მანეთიანი მოგების მისაღებად მეორე წესი. 50 მანეთი, 100 მანეთი, და 500 მანეთიანი მოგების გაცემა სწარმოებს მოგებულ ობლიგაციის წარდგენის ადგილზე, 5000 მანეთიანი და 1000 მანეთიანი მოგების გაცემის ადგილად დანიშნულია მოსკოვში სახელმწიფო ბანკი რომელიც მოგებული თანხის გაცემას აწარმოებს ობლიგაციის შემოწმების შემდეგ.

საამისოდ საჭიროა მოგებული ობლიგაციის წარდგენა სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებაში, რომელიც თვითვე შეასრულებს ყოველივე დაწესებულ ფორმალობას, მიიღებს მოსკოვიდან ფულს და გადასცემს მოგებული ობლიგაციის პატრონს კვიტანციის წარდგენისთანავე. მოქალაქეს კიდეც რომ გამოეპაროს თავისი ობლიგაციის მოგება, სამი წლის განმავლობაში მოგების მიღების უფლებას მაინც არ კარგავს.

აღსანიშნავია, რომ მოგებული თანხა არ იბეგრება არც ადგილობრივი და არც სახელმწიფო გადასახადით. მომგებიანი სესხის ერთი ღირსება არის აგრეთვე მისი სარგებლიანობა (პროცენტული დარიცხვა). პროცენტების გასტუმრება ხდება ერთხელ წელიწადში—15 დეკემბერს. როგორც მოგების, ისე პროცენტების მიღების ვადა განისაზღვრება 3 წლით. კუპონების მიხედვით სარგებლის (პროცენტების) გაცემას აწარმოებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი, შემნახველი სალაროები და საფინ. განყოფილების კასები. ამგვარად საბჭოთა მთავრობამ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ მოგებულ მოქალაქეს გაუადვილა მოგების მიღება.

ახალი ობლიგაციის მეპატრონის საქმეა თვალყური ადევნოს თავის ფასიან ქაღალდს.

ტირაჟის ქრონიკა

ტირაჟის ტეხნიკის შესახებ

სატირაჟო კომისიას მოსდის მრავალი შეკითხვები სახელმწიფო სესხისა და ტირაჟის ტეხნიკის შესახებ. ვინაიდან მრავალ შეკითხვას აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ჩვენ ვხსნით ცალკე განყოფილებას, სადაც გაშუქებული იქნება ყველაზე უფრო საყურადღებო საკითხები.

რას წარმოადგენს სახელმწიფო კრედიტის ახალი კურსი

პირველი საბჭოთა სესხი გამოშვებული იყო მძიმე ფინანსიური ნგრევის პერიოდში. ამიტომ საბჭოთა მთავრობას დასჭირდა ზოგიერთი სესხის იძულებით გავრცელება. ამ ზომამ სახელმწიფოს საშუალება მისცა განემტკიცებია ფინანსები და გაეტარებია ფულის რეფორმა— მტკიცე ფულის შემოღება. ამჟამად სამეურნეო მდგომარეობის წინსვლის და განმტკიცების გამო, საბჭოთა მთავრობა უშვებს ახალ სესხს, რომლის შეძენა დამყარებულია არა იძულებით, არამედ მოქალაქის ნებასურვილზე. სურს შეიძენს, სურს— არა.

რას ხმარდება სახელმწიფო სესხით დაგროვილი თანხა

საბჭოთა კავშირის წინაშე სდგას ამოცანა აღადგინოს და გააძლიეროს სახალხო მეურნეობა. და ამისთვის კი საჭიროა დიდი თანხები დაიხარჯოს მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე: საგზაო-სამიმოსვლო მშენებლობაზე, ახალი ფაბრიკა-ქარხნების მოწყობაზე, სკოლების, საავადმყოფოების აგებაზე და სხვა.

ამ თანხების მიღება მთავრობას შეუძლია მხოლოდ თავის ქვეყნის მოსახლეობიდან სახელმწიფო სესხის გამოშვების საშუალებით. აქედან აშკარაა, რომ სახელმწიფო სესხის მთავარი მიზანია ქვეყნის კეთილდღეობის აწევა.

სად შეიძლება ამჟამად ობლიგაციების შეძენა

ობლიგაციის ყიდვა შეიძლება ქ. თბილისის და ა | კ. ყველა ქალაქების ყველა საკრედიტო დაწესებულებებში და აგრეთვე შემნახველ სალაროებში. ტირაჟის გათამაშების პერიოდში ობლიგაციები იყიდება გათამაშების ადგილას. ობლიგაციის გაყიდვა სწარმოებს დაუბრკოლებლად და განუსაზღვრელი რაოდენობით.

რა ხნის განმავლობაში შეიძლება მოგების მიღება

მოგებულ და აგრეთვე მოგებაზე დარიცხულ პროცენტის—სარგებლის მისაღებად კანონით დაწესებულია 3 წლის ვადა. ეს იმას ნიშნავს, რომ ობლიგაციის მქონე ყველა მოქალაქეს უფლება ეძლევა მიიღოს მოგება და მისი სარგებელი 3 წლის განმავლობაში როცა კი მოისურვებს.

ცნობები წინანდელ ტირაჟების შესახებ

სახელმწიფო ოპერის შენობაში— ფინ-სახკომის გამოფენაზე მოწყობილია ბიურო, რომელიც მსურველთ პასუხს აძლევს ყველა კითხვებზე რომელნიც შეეხებიან მომგებიანი სესხის და პირველ და მეორე სახელმწიფო სესხის ტირაჟებს და მოგებას

ეკონომიური ცხოვრება

აბრეშუმის პარკის გასაღების საქმე

წრევანდელი მოსავლიდან საზღვარ-გარეთ გაიგზავნა 41 ათასი ფუთი ხმელი პარკი

საზოგადოება „აბრეშუმმა“ წელს მთელს საქართველოში დაამზადა 34.800 ფუთი გამხმარი პარკი. საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს და გაასაღოს 31 ათასი ფუთი პარკი, დანარჩენი კი დარჩება საქართველოში. პარკის პირველი პარტია 7.650 ფუთის რაოდენობით უკვე გაიგზავნა იტალიაში სავაჭრო გემ „ვესტა“-თი.

იტალიაში სულ გაიგზავნა 15 ათასი ფუთი ხმელი პარკი, საფრანგეთში კი 10 ათასი ფუთი, დანარჩენ 6 ათას ფუთის ბაზარი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ პარკს მრავალი მყიდველი ეყოლება.

პარკის გაგზავნა უნდა დამთავრდეს 15 ოქტომბრისათვის, ამიტომ საზ.-ბა „აბრეშუმი“ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს, რადგან საზღვარ გარეთ გასაგზავნი პარკი კარგათ უნდა იქნეს დახარისხებული, ყუთებში ჩალაგებული, შეხვეული.

დასამზადებელ სადგურებიდან პარკი იგზავნება ბათომში, აქედან კი იტვირთება სავაჭრო გემებზე და მიდის საზღვარ გარეთ.

ნავთისა და შაქრის ნაკლებობის მიზეზები

ბორჯომიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ იქ შემჩნეულია ნავთის და შაქრის პროდუქტების ნაკლებობა.

ამის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ა | კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში აცნობეს, რომ კომისარიატი ნავთის და შაქრის ნაკლებობის შესახებ შეეკითხა ცეკავშირს, საიდანაც შემდეგი პასუხი მიიღო: ნავთის ნაკლებობა გამოწვეულია იმით რომ ა | კ. ფინსახკომის არა პირდაპირ გადასახადთა განყოფილების აგენტები თავის დროზე არ ესწრებიან ნავთის ჩასხმას სადგურ გორდუბანში, რაც აყოვნებს ნავთის გაგზავნას.

კერძოთ, 2 ენკენისთვეს ჩაისხა და გაიგზავნა 3 ნავთის ცისტერნი, 7-ს 3 ცისტერნი, ამას გარდა რამოდენიმე ცისტერნი უნდა გაგზავნილიყო კიდევ 9 ენკენისთვეს, მაგრამ იმავე აგენტების არ გამოცხადების გამო ეს ვერ მოხერხდა.

ამის შესახებ შინავაჭრობის კომისარიატმა აცნობა: ცეკავშირს, საქ. სახელმწიფო სათბობის სამმართველოს, ა | კ. რკინის გზების ნავთსადენთა სამმართველოს და ფინსახკომის არა-პირდაპირ გადასახადთა განყოფილებას და სთხოვა მათ სათანადო ზომების მიღება.

რაც შეეხება შაქრის ნაკლებობას, ცეკავშირი აცხადებს, რომ შაქრის მიწოდება პროვინციალურ მთლიან სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის იგი აღარ აწარმოებს და შაქრის შეძენაზე თვით კოოპერატივებმა უნდა იზრუნონ დამოუკიდებლივ.

წარმოკავშირის მიღწევები

(შემოქმედის თემი, გურია)

ჩვენმა წარმოკავშირმა ყურადღების ცენტრში იმთავითვე სოფლის ნაწარმოების გამოყენება-გასაღება დაისახა. წარმოება 500 მ. ნასესხებ თანხით დაიწყო. კავშირი ადრე განვითარდა-გაიზარდა.

პირველი ოპერაციები არაყიდან დაიწყო. არყის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გლეხობისათვის. ჩვენ მრავლათ მოგვეპოვება გამოუსადეგარი ხილეულობა, მდარე ხარისხის ღვინო და მრავალი სხვა. ყველა ამის გამოყენების მიზნით გამგეობამ არაყის სახდელი ქარხანა შეიძინა, რაც არა ნაკლები 400—500 მ. დაუჯდა. ამ ქარხნის საშუალებით უკვე გამოხდილ იქნა 376 ფ. წამხდარი ღვინო.

ჩვენში წელს მოსავლის ნაკლებობის გამო სიმინდი არ ყოფილა. გამგეობამ მოახერხა გლეხობისათვის პური მიეწოდებია. გააკეთა ფურნე, სადაც 18 ფ. პური სცხვება ყოველდღიურათ. აღმოუჩინა მზრუნველობა აგრეთვე აგარაკ გომის მთას 1000 ფ. პურის ფქვილის მიწოდებით. აწოდებდა გლეხობას აგრეთვე სიმინდს 1 მ. 75 კ. მაშინ, როდესაც ფუთი სიმინდი ბაზარზე 3.50 მ. ფასობდა, ფართალს—ძალიან იაფ ფასებში და სხვა მრავალ ისეთ საქონელს, რომელიც ადგილობრივ კოოპერატივს არ მოეპოვებოდა.

გამგეობამ მალე კულტურულ სამეურნეო საქმეებსაც მიჰყო ხელი: გახსნა მეფუტკრეობის კურსები

გამგეობას მიზნათ აქვს თაფლის ადგილობრივი გადამუშავება მოაწყოს. ყველაზე მეტად თვალსაჩინო და სასარგებლო ჩვენი გლეხობისათვის, ეს გამგეობის მიერ გახსნილი კრამიტის ქარხანაა. ეს მეტად საჭირბოროტო კითხვა იყო ჩვენთვის. გლეხობა იძულებული იყო 25 ვერსის მანძილიდან მოეტანათ კრამიტი, სადაც ყოველ 1000 ცალზე 30 მ. უნდა გადაეხადა, ხოლო მოტანის ხარჯებთან ერთად ათასი ცალი 60 მ. უჯდებოდა. წარმოკავშირის ქარხანა კი გაცილებით უკეთესს ხარისხის და მეტი სიდიდის კრამიტს აწვდის ჩვენს გლეხობას, 1000 ცალს 25—2 მანეთში.

აღსანიშნავია, რომ ამ ქარხანას რამოდენიმე ათეული უმიწაწყლო გლეხები აფარებს თავს.

გარდა ამისა გამგეობას მიზნად აქვს შეისყიდოს სოფლად თხილი. უკვე შეძენილია 2500 ფ. თხილი. მაგრამ მთელი ნაწარმოების შესყიდვისათვის მათ შესაფერი თანხა არ გააჩნიათ, რისთვისაც საჭიროა მათთვის დახმარების აღმოჩენა. თხილის მთელი მოგება უკან დაუბრუნდებათ გლეხებს, რაც მათში დიდ კმაყოფილებას იწვევს.

იშვიათია ის თაოსნობა, რომელიც გამგეობამ გამოიჩინა ამ საქმეში. ჩვენი გლეხობა კარგად ხედავს ამას და შესაფერისადაც აფასებს მათ მოღვაწეობას.

ქ. ბ—ძე

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად

ა. კ. პ. თბ. ორგ. ყველა რაიკომებს და უჯრედებს

საქართველოს კომ. პარტ. (ბ) თბილისის ორგანიზაცია ა/წ. 15 სექტემბრიდან შეუდგა უჯრედთა ბიუროების გადარჩევას.

არჩევნები უნდა სწარმოებდეს შემდეგი ძირითად ლოზუნგის ქვეშ: „[illegible] შორის „კაზიონური“ ანგარიშები, [illegible]ტი თვითკრიტიკა“. მაგრამ თვითკრიტიკის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ უჯრედების პასუხისმგებელ მდივანთა მოხსენებებში ნაკლებათ იქნება ზოგადი ადგილები თვით-ქება, თუ მოხსენებებში გაშუქებული იქნება უჯრედის მუშაობის ყველა მხარეები.

ანგარიშები უნდა ეხებოდენ შემდეგ საკითხებს:

ა) დაწესებულების სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების და ხსენებულ დარგის საერთო ამოცანებთან დაკავშირებით.

ბ) უჯრედის მიერ პარტიის დირექტივების ცხოვრებაში სწორად გატარება (უპარტიოთა, სპეცების, ყოფილ მენშევიკების შესახებ და სხვა).

გ) მტკივნეული მოვლენები უჯრედებში (უთანხმოება, კილიობა, „ნეპი“-ს გავლენა, პარტიულ კურსის გაუგებრობა და სხვა).

დ) ნაკლულოვანებანი [illegible] მიღწევები უჯრედის მუშაობაში და მომავალ მუშაობის პერსპექტივები.

ე) მოხსენება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ისაზღვრებოდეს განცხადებით: „რასაკვირველია ჩვენ გვქონდა შეცდომები“ და სხვა, არამედ კონკრეტიულად უნდა აღინიშნოს ბიუროს მუშაობაში დაშვებული თვითოეული შეცდომა.

ვ) საჭიროა საკომსიო მუშაობის ჯამის აღნიშვნა და ახალი აქტივის წამოყენება.

საჭიროა ყველა ამ საკითხების შესახებ გახსნილ იქნას ფართო საქმიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამხანაგების ყველა კონკრეტიულ წინადადებათა სხდომის ოქმებში შეტანით.

ბიუროს ახალ შემადგენლობის არჩევნების დროს აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპებით:

ა) უნდა მივიღოთ მხედველობაში ახალ წევრთა უნარიანობა, ვინაიდან თვითოეულ ამხანაგს მოუხდება უჯრედებში არსებულ კომისიათა ხელმძღვანელობა (საორგანიზაციო, სააგიტაციო-საპროპაგანდო და სხვა).

ბ) უნდა გავითვალისწინოთ მომავალში წევრებად წამოყენებულ კანდიდატების პარტიული გამობრძმედილობა და სიმტკიცე.

ვანდობთ რა ამხანაგებს პარტმუშაობის ხელმძღვანელობას, უჯრედი განსაკუთრებულ კრიტიკით უნდა მოუდგეს ბიუროს წევრებად დასახელებულ თვითეულ კანდიდატურის განხილვას.

საჭიროა არჩევნებში ქალებმაც მიიღონ მონაწილეობა.

ბიუროს ახალ შემადგენლობაში კანდიდატთა წამოყენების დროს გადაჭრით უნდა უარყოთ სიების წარმოდგენა გადასარჩევ ბიუროს მხრივ, ახალი არჩევნების დროს უეჭველად უნდა დაცულ იქნას დემოკრატიზმი. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს არავითარი ხელმძღვანელობა რაიკომის და უჯრედის ბიუროს მხრივ არჩევნების დროს.

ხსენებული ცირკულიარი გამოკვეყნებული უნდა იქნეს უჯრედების სხდომებზე უჯრედის მდივანთა ანგარიშების მოსმენის წინ.

თბილისის კომიტეტის მდივანი
ახრიმენკოვი.

პროპაგანდის საკითხები

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორი ღონისძიებანი უნდა იქნან მიღებული სოფლად პარტგანმანათლებელი მუშაობის გაძლიერებისათვის.

პოლიტცოდნის მოძრავი სკოლა უმთავრეს ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს სოფლის კომუნისტებ შორის პოლიტცოდნის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. მაგრამ მხოლოდ მოძრავი სკოლების არსებობით მუშაობის სრული პროგრამის შესრულება შეუძლებელია, რადგან ტეხნიკურ და მატერიალურ პირობების გამო შეუძლებელი ხდება მოძრავი სკოლების ქსელის ისე ფართოდ გაშლა, რომ პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა ასეთ სკოლებში იქნას ჩაბმული.

ამისათვის საჭიროა სტაციონალური პოლიტცოდნის სკოლების რიცხვის გადიდება. სტაციონალური ანუ პოლიტცოდნის ისეთი სკოლა, რომელსაც ადგილობრივად მოეპოვება ხელმძღვანელი, პარტგანმანათლებელ მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს. ასეთ სკოლებში იმ შემთხვევაშია შესაძლებელი მეცადინეობის კარგათ დაყენება, თუ მათ აქვთ შესაფერი ხელმძღვანელობა პარტიულ ორგანოებისაგან. მაგრამ ასეთი სკოლების დაარსება უნდა მოხდეს სამაზრო და რაიონულ ცენტრებში, რადგან აქ მოიპოება პასუხისმგებელ მომუშავეთა კადრი, რომელთაგან ადგილობრივი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა გამოყოს სკოლის ხელმძღვანელი.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტაციონალური სკოლის მეცადინეობა შეუძლებელი იქნება, თუ ერთ სენს სოფლად მუშაობაში თავი არ დავაღწიეთ. ეს სენი, რომელიც დღემდე ანახევრებდა იმ სკოლების საერთო მუშაობას, მასში მდგომარეობს, რომ სკოლებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები დაკისრებულ მოვალეობებს წესიერად ვერ ასრულებენ. დიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს იმ სკოლის მდგომარეობა, რომლის ხელმძღვანელი ორ სამჯერ რამოდენიმე თვის განმავლობაში მაინც გამოცხადდება.

ეს ასეთი მოვლენა სკოლის მეცადინეობას იმდენად აფერხებს, რომ ამხანაგების დიდი რაოდენობა სკოლას თავს ანებებს, რადგან მათ არა აქვთ გარანტია იმისი, რომ მორიგ მეცადინეობაზე გამოცხადდება ხელმძღვანელი.

ამნაირი დამოკიდებულება ხელმძღვანელის მხრივ კი პოლიტცოდნის სკოლ[illegible]სადმი შესაძლებელია მხოლოდ სოფლად და არავითარ შემთხვევაში ქალაქად. მაგალითისათვის ავიღოთ თბილისის ორგანიზაცია.

აბა კარგი ბიჭია და რომელიმე მომუშავემ, რა თანამდებობაზედაც ის არ უნდა მუშაობდეს, დაუშვას და „გადაუდებელ“ საქმეების გამო ნუ გამოცხადდება სკოლის მორიგ მეცადინეობაზე. ასეთ შემთხვევაში ამ ამხანაგის შესახებ მეორე დღესვე ისმება საკითხი სკოლის მსმენელებისაგან პარტორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს წინაშე. თუ რამოდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი გამოუცხადებლობას ყოველგვარ „ცერემონიის“ გარეშე, სკოლის ასეთი ხელმძღვანელი გადაყენებული იქნება საყვედურის და გაკიცხვის გამოტანით.

საჭიროა სოფლის პარტუჯრედების აქტიობაც გაძლიერდეს ამ მიმართულებით, რათა პოლიტცოდნის სკოლის ხელმძღვანელი გრძნობდეს მეტ პასუხისმგებლობას სკოლისადმი. მან უნდა იცოდეს, თუ ის შესაფერ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს სკოლას, მის შესახებ სკოლის მსმენელები უჯრედში დასვამენ საკითხს და გაკიცხავენ. მეორეს მხრივ აუცილებელია, რომ პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები თვალყურს ადევნებდენ და ანგარიშს სთხოვდენ სკოლებზე და წრეებზე მიმაგრებულ ამხანაგებსაც.

ერთის სიტყვით, ასეთი არანორმალური მდგომარეობიდან საბოლოოდ უნდა თავი დავაღწიოთ.

მაგრამ ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც თითოეული მომუშავე გამსჭვალული იქნება იმ აზრით რომ პოლიტცოდნის სკოლის ხელმძღვანელობა პარტიული მუშაობის მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს და მეორე მხრივ თვით სკოლის მსმენელებიც გამოიჩენენ მეტ აქტიობას.

ამრიგად პოლიტცოდნის სტაციონალური ანუ მუდმივი სკოლები უნდა მოეწყონ იქ, სადაც ხელმძღვანელები მოიპოვებიან. ასეთი სკოლის მეცადინეობის დრო უფრო ხანგრძლივი და ნორმალური იქნება, ვინემ მოძრავი სკოლის.

დღეს პოლიტცოდნის ამ სკოლების არსებულ რიცხვი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მით უმეტეს, როდესაც უმრავლეს შემთხვევაში სკოლები უფრო ქაღალდზე არსებობენ, ვინემ სინამდვილეში. იმისი უმთავრესი მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, ხელმძღვანელთა კადრის სისუსტეშია. აი სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნეს მიღებული სათანადო ღონისძიებანი.

რაც შეეხება სტაციონალური პოლიტცოდნის პროგრამას, ის იგივე უნდა იქნეს, როგორიც მოძრავი სკოლის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში მის გავლას მეტი დრო ექნება დათმობილი.

ქ. გორდელაძე.

წერილები ადგილებიდან

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ქ. ონი

საქ. კომკავშირის რაჭის მაზრის ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს 1000-დე კომკავშირელს. უჯრედები მტკიცეთ არიან ჩამოყალიბებული, დისციპლინაც კარგია. მხოლოდ ერთი ნაკლი, რომელსაც აქ ხაზი უნდა გაესვას არის ის, რომ ამხანაგების პოლიტიკური განვითარების დონე სხვა მაზრებთან შედარებით საგრძნობლად მოისუსტებს. მიზეზი კი ამისა ის არის, რომ ორგანიზაციას არა ჰყავს მომზადებულ ამხანაგების კადრი საკმაო რაოდენობით. დღეს-დღეობით მთელს ორგანიზაციას სათავეში უდგას ამხანაგი, რომელიც თავის ფიზიკურ ძალღონეს [illegible] სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ხელმძღვანელების საქმე. რაც შეეხება კომკავშირისაკენ ლტოლვას, უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენს რიგებს მოაწყდა აუარებელი ახალგაზრდა. კავშირი ადგილობრივ პარტორგანიზაციასა და კომკავშირს შორის კარგია. პარტკომი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველმხრივ დახმარებას უწევს უკანასკნელს.

დ. ჯ—ლი.

ხოჯ. ზემო-აჭარა

„ზაჰესის“ სააღმშენებლო უბანში დღიდან სამუშაოს დაწყებისა დაარსდა კომკავშირის უჯრედი, რომელიც დღეს-დღეობით აერთიანებს 145 წევრს და კანდიდატს. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ უჯრედში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს: სისტემატიურად იმართება კრებები, სათანადოთ მუშაობენ სხვადასხვა წრეები და კომისიები. ერთი გარემოება, რომელსაც მომავალში უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ის არის, რომ რაიკომმა ამ უჯრედზე კიდევ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს თავისი ხელმძღვანელობა.

ქ. [illegible]

ქრონიკა

— **უმუშევარი მელითონენი.** მელითონეთა კავშირში ამჟამად ირიცხება 589 უმუშევარი.

— **ქართულ ლეგიონის დღესასწაული.** მე-4 ქართულ ტერიტორიალური ლეგიონი 20 სექტემბერს დღესასწაულობს თავის არსებობის ერთი წლის თავს.

— **წამლეულობის გაგზავნა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მაზრებში გაგზავნა 75 კილო ქინაქინა.

— **პურის მცხობელთა ჯანმრთელობის გამოკვლევა.** თბილისში მოკლე ხანში დამთავრდება. გადამდებ სნეულებით დაავადებული მუშები მოიხსნებიან ადგილებიდან.

— **საექიმო-სასამართლო ექსპერტიზა.** მიმდინარე წლის ბოლოს მოსკოვში გაიხსნება საექიმო-სასამართლო ექსპერტიზის სრ. საკავშირო ყრილობა.

— **ამიერ-კავკასიაში** არსებულ სააქციონერო საზოგადოებათაგან ნახევარზე მეტი სახელმწიფოა.

— **სოფლისათვის** უშუალოთ აგრონომიული დახმარების აღმოჩენის მიზნით მომავალ წელში აგრონახმარების ბიურომ განიზრახა დახარჯოს 256,101 მან.

— **ყავა.** ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ინგლისიდან მოელის 1,100 ფუთ ყავას.

— **ჩაის გასაღება.** წლევანდელი მოსავლიდან სახალხო მამულების ტრესტმა სამხედრო სამეურნეო უწყებას მიყიდა 8.500 ფუთი ჩაი.

— **მოუსავლიანობის გამოკვლევა.** მიწათმოქ. კომისარიატმა მიავლინა თავის წარმომადგენელი სამხრეთოსეთში დაზარალებულ ნათესების რაოდენობის გამოსაკვლევად.

— **საცდელი სადგური.** მიწადმოქ. კომისარიატმა მოაწყო ურიათუბანში კახეთის მეღვინეობა-მევენახეობის საცდელი სადგური.

— **მავნებლებთან ბრძოლა.** მავნებლებთან ბრძოლის ბიურო შეუდგა ზემო-სვანეთში გაჩენილ ბელლის მავნებლებთან ბრძოლას.

— **მიწა კულტურულ მიზნებისათვის.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთელ საქართველოში კულტურულ მიზნებისათვის გადაიმიჯნა და გამოიყო 78 დესეტინა მიწა.

— **თბილისში მოწყობილ შრომის კოლექტივებში** ამჟამად მუშაობს 1.300 კაცი.

— **მეფუტკრეობის ბიურომ** ს. გორდაში (სვანეთი) მოაწყო მეფუტკრეობის მოკლე ვადიანი კურსები.

— **შრომის დაცვა.** შრომის სახ. კომისარიატმა თავის წარმომადგენელი მიავლინა დასავლეთ საქართველოში, აჭარაში და აფხაზეთში შრომის პირობების დაცვის მდგომარეობის გამოსაკვლევად.

— **მატყლის გატანა.** ა/კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო ცნობა მარსელიდან და ლონდონიდან, რომ [illegible]ურ მატყლზე დიდ[illegible] 1-ლი [illegible] მოთხოვნილებაა. მატყლის პარტიები უკვე გაიგზავნა.

— **ტყავის მიღება.** საფრანგეთიდან ა/კ. სახელმ. ვაჭრობის კომისარიატი მოელის 4942 ფუთ და გერმანიიდან 12,500 ფუთ ტყავს.

— **ქართული ენის პრაქტიკულ** და საქმის წარმოების კურსებზე (რუსთაველის გამზირი № 33) თხოვნების მიღება და ჩაწერა დაიწყო 15 ენკენისთვიდან, და სწავლა დაიწყება ოქტომბრიდან. კურსებზე შემსვლელი კერძო პირნი—თვიურად იხდიან 6 მან., პროფკავშირის წევრები, სტუდენტები და მოწაფეები კი 4 მ.

— **გამოცდები.** გუშინ დაიწყო მისაღები და ხელახალი გამოცდები, თბილისის ყველა შრომის სკოლებში და ტეხნიკუმებში.

— **გადასახადის ფურცლების** დაგზავნა მაზრაში დაამთავრა თბ. ალმასკომმა.

— **წყალის მიწოდება.** აგვისტოს განმავლობაში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 42 მილიონი ვედრო წყალი.

— **ტრამვაი.** ამჟამად თბილისში მუშაობს 114 რონოდა.

— **ქალაქის სასაკლაოზე** აგვისტოში დაიკლა 11,497 მსხვილი და წვრილფეხა საქონელი.

— **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა სერ. მაკალათიას ტონოლოგიური გამოკვლევა. „ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა“.

— **„წერკუმსის“ კვირეული.** წერკუმსის პირველმა პლენუმმა დაადგინა ჩატარებულ იქნეს ყოველწლიურად 1—7 ნოემბრამდე წერკუმსის კვირეული.

ხელოვნება

— **კინო თეატრში.** 18 სექტემბრიდან წავა დამატებით ავტოგადარბენის მეორე ნაწილი: ბანკეტი, ავტომობილების სადგომი და დაბრუნება უკან კავკავამდე.

— **ნიკოლოზ როინიშვილის** ლექსების მეორე წიგნი გამოვა ნოემბრის პირველ რიცხვებში.

— **წითელარმიელთა და** ფლოტის კლუბში, დღეს გაიმართება წითელი ესტრადის საღამო.

შემთხვევები

— **შეპყრობა.** 14 სექტ. შეიპყრეს სარქის ყაზაროვი, რომელსაც ბრალდება სადგურის ქ. № 32 ვალერიან რიქოვანის დუქნის გაქურდვა.

— **ქურდობა.** 14 სექტ. მთავარ ანგელოზის ქ. № 5 გაქურდეს ალექსანდრა პასკოვას ბინა. წაღებულია სხვადასხვა ნივთები.

— **ჯიბგირობა.** 14 სექტ. საღამოს 8 ს. ანდრეევის ქ. № 6 მცხოვრ ოგანეზოვს, როდესაც ის ჯდებოდა კირკის ქუჩაზე ტრამვაიზე, ჯიბიდან ამოაცალეს 2,500 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

როგორ ვაჭრობენ მუშკოოპში

— გამარჯობა პეტრე! კაცო, შენ რაღას აკეთებ ამ მუშკოოპში? ჰკითხა მიხაკომ პეტრეს, რომელიც კარებში შეეჩხა მიხაკოს მუშკოოპის დიდ მაღაზიაში.

შე კაი კაცო, ამოდენა მაღაზიაში მეც რომ გავიარო, რა უჭირს?

— ჯამაგირს მიიღებდი და ალბად ვალი მოიხადე და რამეს იყიდდი?!

— რაც შეეხება მუშების მიერ საქონლის ყიდვას, ეს, ხომ იცი, ჩვენს ჯამაგირზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხო და იქნებ ამიხსნა, თუ ძმა ხარ!

— რაო მაგალითად?

— აი რაო როგორ ხდება, რომ ზოგიერთი ფართლეულობა რამდენიმე თოფებით გააქვთ ჩარჩ-სპეკულიანტებს, რომ იმათ გლეხებზე მამასისხლად გაჰყიდონ მუშკოოპიდან გამოტანილი საქონელი—სადმე მიყრუებულ ადგილას; სოფელში.

ნუ თუ არ შეუძლია ჩვენს საფეიქრო სინდიკატს ეს სასოფლო საქონელი უშუალოდ მიაწოდოს გლეხობას? ჩვენი ქარხნების ნაწარმოებით რომ ჩარჩები სოფლელებს ატყავებენ და ჯიბეს ისქელებენ, რატომ ხდება ეს?

— ეგ ალბად, საფეიქრო სინდიკატის საიდუმლოებას თუ შეადგენს.

— ვითომ ეზარებათ თბილისის გარეთ განყოფილებების გაღება?

— არა, „პირი სოფლისაკენ“ უკულმა ესმით.

გესმის ჰო, მესმის...

მუშ. ყ-ნი.

ხელს უწყობენ ჩვენი მუშების სწავლა-განათლების საქმეს

ახლად გახსნილი მე-40 შრომის სკოლა მდებარეობს 19 თებერვლის ქუჩაზე. მასში იზრდებიან უმთავრესად მე-8 უბნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები. თუმც სკოლის შენობა ძალზე პატარაა, მაგრამ მაინც ბევრი მოწაფე იზრდება შიგ, ვინაიდან მეცადინეობა ორ წყებად სწარმოებს. სკოლის შენობის სიპატარავემ დააინტერესა ზოგიერთი მოქალაქე და ამჟამად ენერგიული მუშაობა სწარმოებს მის გასაფართოებლად.

უწევს რა ანგარიშს იმ აუტანელ შრომას, რომელსაც ერთი ჯგუფი ეწევა სკოლის საკეთილდღეოდ, ახლოს მდგომი და საქმესთან გაცნობილი მოქალაქე არ იშურებს თავის მცირე შემოსავლიდან ორიოდე გროშს და სწირავს—იმ აზრით, რომ ამ უბანშიც შევიდეს სწავლა-განათლება.

მადლობა ასეთ შეგნებულ მოქალაქეთ,

ს. წერეთელი.

ეს საქმეც მოსაგვარებელია

სამი თვის წინეთ რკ.-ზგ. მთავ. საწყობის ადმინისტრაციამ უბკავშირის ადგილკომის შუამდგომლობით [illegible]ოვა რამოდენიმე დროებითი მო[illegible] [illegible] მაშინათვე [illegible]ბითი მუშა, რო[illegible] მოეზავნიენ კავშირის მიერ გად[illegible]ის ლი. რამოდენიმე დღეების მუშაობის შემდეგ ამ მუშების ერთი ჯგუფი გადაყვანილ იქნა იქვე სახელმწიფო „ფოდრაჩიკთან“, ისინი ყოველივე ძველი რკინეულობებს ეზიდებიან რუსეთში ხელახლა გადასადნობათ; მეორე ჯგუფი მუშებისა კი დაითხოვეს. აქედან ხუთი მუშა დარჩა ძველი მუდმივ მუშებთან ერთად, რომლებიც ეხლაც მუშაობენ, მაგრამ როცა მუშები მოსთხოვენ იმ კუთვნილს რაც ძველ მუშებზედაა გავრცელებული, ადმინისტრაცია უპასუხებს: თქვენ დროებით მუშები ხართ შეიძლება დაგითხოვოთ.

განა არ შეიძლება რომ დაუშვან ეს ხუთი მუშა მუდმივ სამუშაოზე?

უბკავშირო, შენი ვალია ამ საქმის მოგვარება!

მუშკორი დონჯაძე.

ისმინე ვისაც ეს გეხება

მთავარ სახელოსნოების სარონოდო საამქროს ბრიგადირს მარსალოვს ჩვენი პრესა კარგად იცნობს. მისი მოქმედებით აღელვებული არიან მისი გვერდით მომუშავე მუშებიც. ბოლო დროს მას ქურდობასაც კი უმტკიცებდენ, რაზედაც საქმე ჰქონდა გადაცემული „უდრ“-ს.

„უდრ“-ის განაჩენიც ასეთია: ა/წ. 7 სექტემბერს „უდრ“-ის მოწერილობა აღნიშნულია: საქმის სარგებლობისთვის მთავარ სახელოსნოების ბრიგადირი მარასალოვი საჭიროა გადმოყვანილ იქნეს ტქნ-შით.

საკვირველია თუ მარასალოვის მუშაობა მთავარ სახელოსნოებში საზარალოა, რითია დარწმუნებული „უდრ“-ი იმაში, რომ მისი მუშაობა ტქნ | ში სასარგებლო იქნება?

მუშ. ლელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

ნუ დააუსამართლოებთ დირსეულ მუშას.

რკ. გზის მთავარ სახელოსნოში მუშაობს მხერხავის თანამდებობაზე ამხ. ქოიავა, რომელიც მხერხავთა ნოდის უფროსადაც ითვლება. შრომის ხელფასს ამხ. ქოიავა იღებს მე-8 ხარისხით ძალიან მცირეს. მას უხდება ზედმეტი საათებშიც მუშაობა. ჯილდო კი ამის მას არ ეძლევა, ნოდის სხვა უფროსებს შრომის ხელფასი ეძლევათ მე-11 ხარისხით, ამხ. ქოიავამ რა დააშავა?

ნუ დააუსამართლოებთ დირსეულ მუშას!

მუშა—გონიერი.

ეს საშიშროება აგვაცილეთ

წუმწუმის ფაბრიკის შენობაში ბინადრობს ვინმე სტეპკო, რომელიც შეპყრობილია უკანასკნელ სტადიის ჰლექით. ფაბრიკაში ვმუშაობთ 49 მუშა და ძალიან ვშიშობთ იმაზე რომ ეს საშინელი ავადმყოფობა ჩვენზედაც გავრცელდეს.

მიიღეთ სათანადო ზომები!

მუშკორი—გაზელი.

გაასუფთავეთ ეს ქუჩა

ყოფ. ლეფაშოვის ქ. მოთავსებულია სასამართლოს ბინა, სადაც თავს იყრიან მედროგეები თავიანთ დროგებით, ცხენებით. აქ მოთავსებულ კოოპერატიულ დუქანსაც ჰყავს ათიოდე ძროხა. ყველა ესენი საშინლად აბინძურებენ ქუჩას. ამ ქუჩით კაცს არ გაევლება.

გაასუფთავეთ ეს ქუჩა!

მუშა—დიანტკურელი.

შრომის ხელფასს არ აძლევს.

დეზერტირის ბაზარზე მოთავსებულია კერძო აზიურ ფეხსაცმელების სახელოსნო № 8644, რომელიც ეკუთვნის მოქ. გოქაძეს. ამ გოქაძესთან მთელ 4 წლის განმავლობაში მუშაობდა ტყავ[illegible]ის კავშირის წევრი ამხ. გაბაშვილი. უკანასკნელმა ამ ბოლო დროს მიიღო მორიგი შვებულება და როცა ის შვებულებიდან დაბრუნდა, ვაჭარმა ის დათხოვნილად გამოაცხადა და გაუფრთხილებლობის ჯილდო მას არ მისცა.

ნუ დაუკარგავთ მუშას ხელფასს!

მუშკორი—მზი[illegible]

რისთვის მოშალეს.

ვერის დაღმართზე გახსნილი იყო დიდი სამეცნიერო-საჩვენებელი სამხეცე, რაც ძალიან ხელს უწყობდა მოსწავლე ახალგაზრდობას ბუნების მეტყველების შესწავლაში. ამჟამად ეს სამხეცე მოშალეს.

რატომ? რისთვის, ალაჰმა უწყის!

კველაშვილი.

სოფლად

ვისთვის იმართება ასეთი საღამოები?

ჩვენ მივიღეთ მეტად საყურადღებო ანგარიში ერთ საღამოს შესახებ, რომელიც გამართული ყოფილა გორდის თემში სახალხო მამულის, სახლის და აგარაკის სასარგებლოდ.

საღამომ დასტოვა წმინდა შემოსავალი 29 მან. და 12 კაპ. გარდა ამისა მამულს დარჩა ქონების სახით ფუთნახევარი მაზუთი და სამი ცალიერი ღვინის ბოთლი. საღამოს მომწყობ კომისიის დადგენილებით ეს შემოსავალი უნდა გადაეცეს ხონის ალმასკომის თავმჯდომარეს „და მასვე დაევალოს ეს ფული საჭიროებისამებრ მოხმარებული იქნეს **გორდის აგარაკის ასაღორძინებლად და სახალხო მამულის გასამშვენიერებლად**“.

ჩვენ აქ არაფერს ვლაპარაკობთ იმ „აყვავება-აღორძინებაზე“, რომელიც შეუძლია მოავლინოს გორდის აგარაკს 29 მანეთმა და სამ. ცალიერმა ბოთლმა. ამ ფულით მარტო ფანჯრის ჩარჩოების გამოცვლაც რომ მოხერხდეს, ისიც დიდი სამსახური იქნება სახალხო ქონებისათვის.

აღსანიშნავია აქ მხოლოდ სულ სხვა. თვით კომისიის სიტყვითვე, „მზგავსი საღამოები აქ ყოველ წელს იმართება, მაგრამ თანხა არ სჩანს და იფლანგება. ყოველ ზაფხულს გლეხობა იძარცვება და საღამოები ღებულობენ სოფლის საყვლეფ იარაღის სახეს“.

წელს კომისიის სიტყვით მიღებული იყო ყოველივე ზომები, რომ ასეთი შემთხვევა არ განმეორებულიყო, მაგრამ უშედეგოდ. თვით გლეხები უნდობლობის თვალით უყურებდენ საღამოს მოწყობას. და ეს ადვილი ასახსნელიცაა, თუ მივიღებთ მხედველობაში წარსული წლის მაგალითს. მაშინ კომისიის განცხადების თანახმად, „მთელი სურსათ-სანოვაგე, გარდა ღვინისა, გლეხების მიერ უფასოდ იქნა მიცემული. **ეს სურსათი ბაზარზე რომ გაეტანათ, სოფელს ის დაუტოვებ და არა ნაკლებ 500 მანეთისა.** საღამომ კი დასტოვა 70 მანეთი და ისიც სახალხო მამულს არ მოხმარებია“.

მომწყობი კომისია გულისწყრომით აღნიშნავს, რომ საღამოს გასართავში მათ სოფელი არა თუ ეხმარებოდა, პირიქით, „არა თუ მოზრდილები, ბავშვებიც კი ნაბიჯს არ იდგამდენ უფულოთ და ისიც გაორკეცებულ ქირას ითხოვდენ“.

კომისია სასტიკ საყვედურს უცხადებს „გორდის კომკავშირის პ|მ. მდივანს, კომისიის წევრს, რომელმაც ქეიფში და მარიფათიანობაში ტკბილად ჩაიძინა ღვინით გალეშილს სხვის სუფრაზე“. დასასრულ საღამოს მომწყობი ამხანაგები, მწარე გაკვეთილით სასოწარკვეთილნი, აცხადებენ. „გორდში ისეთი ატმოსფერა დგას, რომ მზგავსი საღამო სრულიად არ არის საჭირო და არ უნდა იქნეს ნებადართული“.

ჩვენ შეგვიძლია დაუმატოთ, რომ არა თუ გორდში, ბევრ სხვა სოფლებშიაც ასეთი „ატმოსფერა“ დგას. ამას მოწმობს მრავალი წერილები ჩვენ გლეხკორებიდან. მართლაც რამდენად დასაშვებია ასეთი ფაქტი, რომ ზოგიერთი გაიძვერა სოფლის ინტელიგენტი ხალხის სახელით და საზოგადოების სარგებლობის საფარ ქვეშ ბეგრავს სოფელს სურსათ-სანოვაგით, აწყობს ფასიან საღამოებს, ითვრება და ქეიფობს იქ და სარგებელი აქედან რჩება ან სრულიად არაფერი, ან უკეთეს შემთხვევაში 29 მანეთი და სამი ცალიერი ღვინის ბოთლი.

ვის რაღ უნდა ასეთი საღამოები? ან რა კულტურული სამსახურის გაწევა შეუძლია მას სოფლისათვის, გარდა იმისა, რომ ის სახელს უტეხს გლეხების თვალში ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობას საერთოდ და კერძოდ ახალ ყოფა-ცხოვრების განმტკიცებას.

ვიმეორებთ არა ერთი ორი საღამოები მოეწყო ამ ზაფხულის განმავლობაში ჩვენს დაბა-სოფლებში. უმეტეს შემთხვევაში ყველა ეს საღამოები გორდის საღამოებს წააგავდა. ბევრგან კიდეც გადააჭარბეს მათ გორდის მაგალითს. გლეხებში სამართლიან უკმაყოფილებას და საყვედურს იწვევს ასეთი საღამოობია.

ეს საკითხი ითხოვს ადგილობრივ პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანოების და მოწინავე გლეხობას სერიოზულ ყურადღებას, რომ კულტურული გასართობების საქმე წესიერ კალაპოტში იქნეს ჩაყენებული სოფლად.

ა. ბ.—ლი.

წერილებიდან

„ტეხნიკური დაბრკოლება“. სამტრედიის დასს უნდა დაედგა და. კულაშში ოპერეტტა „აშულ-ყარიბი“. მომწყობ კომისიაში შედიოდა ს. ხაჟალია. წარმოდგენის დაწყებისას ის მთვრალი გამოცხადდა. ძალაუნებურად ჩაატარეს პირველი მოქმედება. შემდეგ გამოდიან და აცხადებენ, რომ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო პიესის მსვლელობა შეწყვეტილიაო. წარმოდგენა ფასიანი იყო. სავსე დარბაზი უკმაყოფილო დაიშალა, რომ ლოთ ხაჟალიას მიზეზით, მათ საშუალება წაერთვა პიესა მოესმინათ.

სევ—გრი.

კარგ მაგალითს კი აძლევენ. გურიის მაზრის ს. შინათის გლეხები ძველებურათ უქმობენ საეკლესიო დღესასწაულებს. სამწუხარო აქ ისაა, რომ ამ ძველ ადათ-ჩვეულებებს ზოგჯერ ვერც კომუნისტები გადარჩენია. მაგალითად არსენ და ირაკლი გოგიჩაიშვილებს ვერავინ ასწრებს ქეიფობას და ნადიმს ასეთ დღეებში. მათი სახლიდან სულ მრავალჟამიერი გაისმის.

ნანტიაშვილი.

[illegible]

ფოსტის კანტორა — [illegible] მუდი. დიდი ხანია ლაპარაკია ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შეკეთების, ან ახალ ბინის აშენების შესახებ, მაგრამ ის დღემდი ძველ მდგომარეობაშია და, რაც დრო მიდის, უფრო ძველდება და უვარგისდება. მოსამსახურენი მეტი სინესტისაგან და სიბნელისაგან სნეულდებიან. ბევრისათვის ასეთ პირობებში სამსახური შეუძლებელია.

ქ. ხ—ძე.

უმზგავსი შეურაცხყოფა. ს. ჩუმლაყში (სიღ. მ.) ორ გლეხის ვენახში შეპარნენ ვიღაც ბოროტი პირები, რომლებმაც გადათხარეს 900 ძირი ნამყენი ვენახი დაზარალებულებმა მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ალმასკომი ჯერ ყურსაც არ იბერტყავს. რომ დროზე მოეკიდა მას ხელი ბოროტმოქმედთა ძებნისათვის, მათი აღმოჩენა ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა.

სტუმარი.

წისქვილი გააკეთეს, გზა გააფუჭეს. ენგურისა და დაბა დარჩელს შუა ჩამომდინარეობს პატარა მდინარე ჯუკუ. აქამდი ის დამშრალი იყო. ამ ბოლო ხანს ჯუკუს ღელეში ენგურიდან გადაიყვანეს წისქვილის წყალი. ავდრიან ამინდებში და წყალდიდობის დროს ჯუკუ იმდენათ იზრდება, რომ ცხენოსანიც ვერ ბედავს მასში გასვლას. სოფელი მოწყვეტილია დაბას. [illegible] თაიარებიან. საჭი[illegible] ბავშვები [illegible] რთა ხიდი, რომ ერთი საქმის გაკეთებით მეორე არ შავლებოდეს.

ბ. თ—ა.

სოფლის ქრონიკა

— **დახმარება საშეფო სოფელს.** განათ. მუშაკთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ თავის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. მამაწმინდას გაუგზავნა დახმარების სახით 20 ფ. სიმინდი. განყოფილება აღნიშნულ სოფელში აწარმოებს აგრეთვე კულტურულ მუშაობას.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან** ბრძოლის გაცხოველების მიზნით სენაკის პროფბიუროსთან დაარსდა მებრძოლ საზოგადოების ცენტრალური ბიურო.

— **დახმარება მუშათა საბინაო კოოპერაციას.** შორაპნის ალმასკომმა დაადგინა მიიღოს ზომები მუშათა საბინაო კოოპერაციის ხელის შესაწყობათ.

— **ფოთის ალმასკომმა** დაადგინა ქალაქის განაპირა ქუჩებში გაიყვანოს ცხენმავალი რკინისგზა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი

ამ დღეებში საზღვარ-გარეთიდან მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქ. ლონდონში 17 აგვისტოს გარდაიცვალა ვარლამ ესტატეს ძე ჩერქეზიშვილი.

ვინ იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი?

ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო ანარქისტი—კომუნისტთა ერთი ბელადთაგანი, ახლო თანამშრომელი და მეგობარი კროპოტკინის, ნეჩაევის კომანდო გოგელიასი და სხვ.

დაიბადა ს. თოხლიაურს (გარეკახეთში) 1846 წ. 15 სექტემბერს. ათი წლისა მოსკოვს გაგზავნეს სადაც დაასრულა სამხედრო გიმნაზია. 1866 წელს უმაღლეს სწავლის მისაღებად შევიდა პეტროვსკის აგრონომიულ აკადემიაში, მაგრამ იმავე წლის აპრილში დააპატიმრეს, როგორც კარაკოზოვის ჯგუფის წევრი, და პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს. (კარაკოზოვი პირველი შეეცადა ალექსანდრე მეორეს მოკვლას). პატიმრობიდან განთავისუფლეს 1873 წ. იანვრის 1. მაგრამ 1869 წ. ქრისტეშობისთვეს ნეჩაევის საქმის გამო კვლავ დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს. აქ დაჰყო 1863 წ. ნოემბრამდე, შემდეგ გადაასახლეს ქ. ტომსკში, სადაც იმყოფებოდა 1876 წლის იანვრამდის. იქიდან მოსკოვ-პეტერბურგით საზღვარ-გარეთ გაიქცა სადაც დარჩა 1906 წლამდის.

პირველ რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა ლენინგრადში, ხოლო აქედან—თავის სამშობლოს დედაქალაქში. ციმბირიდან გაქცევისას „ხალხოსნებმა“ ლონდონს წასვლა სთხოვეს. აქ ლავროვთან ერთად „ვპერიოდ“-ში თანამშრომლობდა.



ვარლამ ჩერქეზიშვილი

(რვა თვის განმავლობაში უძღვებოდა აღნიშნულ ორგანოს შინა-ეკონომიურ განყოფილებას). შემდეგ გადასახლდა ჟენევაში. სადაც სხვა ახალგაზრდა ემიგრანტებთან ერთად სტეპნიაკ-კრავჩინსკის) თანამშრომლობით სცემდა ჟურნ. „ობშჩინა“-ს. 1877 წელს ჟენევაში ყოფნის დროს ჩერქეზიშვილი შევიდა პირველ ინტერნაციონალის იურის ფედერაციაში, სადაც ელიზე რეკლიუსთან, პეტრე კროპოტკინთან, ჯემს გილიომთან, ჟან გრავთან და სხვა ანარქისტებთან ერთად 1902 წლამდე აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონგრესებში, პერიოდულ გამოცემებში და სხვა 1904—1905 წ. პ. კროპოტკინის და კომანდო გოგელიას თანამშრომლობით სცემდა ანარქისტულ-კომუნისტურ ჟურნალს „Хлеб и Воля“-ს. ცალკე წიგნაკად დაიბეჭდა 1896 წ. მისი „პაჟ დე ლისტუარ სოციალისტ“, რომელიც გადაითარგმნა ინგლისურ, ჰოლანდიურ იტალიურ, ესპანურ ენებზე და მცირეოდენი შემოკლებით ჩინურ და იაპონურ ენებზე. ამ წიგნში ის უარყოფდა მარქსის დებულებას კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ. მეორე წიგნი გამოვიდა 1902 წელს „Предшественники Интернационала“. 1906 წ. გამოიცა მოსკოვში რუსულ ენაზე: კრიტიკული წიგნაკი „Доктрины Марксизма“. იმავე 1906 წ. თბილისში გამოვიდა პატარა წიგნაკი კაუცკის წინააღმდეგ. მასვე ეკუთვნის მრავალი წერილები ევროპის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში სხვათა შორის თვითმპყრობელობისა და საქართველოს დამოკიდებულების საკითხის გარშემო (ტრაქტატების და სხვ. შესახებ).

დიდი ომის დროს კროპოტკინთან ერთად მან მიიღო, მზგავსათ ზოგი სოციალისტებისა, მოკავშირე სახელმწიფოთა ორიენტაცია.

შალვა იმედაშვილი.

ა.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი
ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის დადგენილებით
სახელმწიფო მეორე მოგებიანი სესხის მოგებათა
მეოთხე ტირაჟი
მოხდება ქ. თბილისში ა. წ. 15—20 სექტემბრამდე
ამ ტირაჟზე იქნება 9138 მოგება 750.000 მანეთის რაოდენობით
მოგება განაწილებულია შემდეგ ნაირად:

6	მოგება	5.000	მანეთი	სულ	30.000	მან.
93	„	1.000	„	„	93.000	,,
105	„	500	„	„	52.000	,,
2556	,,	100	,,	,,	255.600	,,
5378	,,	50	,,	,,	318.900	,,

მოგებათა ტირაჟი გაიმართება სახელმწიფო აკადემიურ ოპერის დარბაზში
შესვლა ყველა მოქალაქეთათვის უფასოა.
ნ. 1677 10—7

იურიდიული რჩევა-დარიგება

ობოლ ბავშვს მშობლების ქონებიდან სარჩო ეძლევა თუ არა?

კითხვა

ჩემი ქმარი არსენ დარჩია საერთაშორისო ომის დროს 1917 წ. დაიკარგა უგზო უკვლოდ, დამრჩა ერთი გოგო, ის უკვე არის 12 წლის. 1920 წელში გავყევი ქმარს; ბავშვი ცხოვრობს ჩემთან, აჭმევს და აცმევს ჩემი ეხლანდელი ქმარი. ჩემ ყოფილ ქმარს დარჩა გაუყოფელი დედმამა-და ძმებთან ქონება, რომლის სრული ბატონ პატრონნი არიან ჩემი ყოფილ დედმთილ-მამამთილი და მაზლები, ბავშვს ისინი არაფერს არ აძლევენ; არ მიცემას ასაბუთებენ იმით, რომ ბავშვი ცხოვრობს ჩემთან.

გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება, შემიძლია თუ არა მოვსთხოვო ჩემი ყოფ. დედამთილ მამამთილს ჩემი ყოფილი ქმრის ქონების შემოსავლიდან მისცენ ბავშვს სარჩო?

შეუძლია თუ არა ბაბუამ ან ბიძამ წაიყვანონ, თუ ეს ბავშვს არ სურს?

ათინა კვიჟიძე.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 130 და 131-ისა გაჭირვებულ და შრომის უუნარმოკლებულ ბავშვებს სარჩო ეძლევათ მიცვალებულთა ან მიცვალებულ მშობლის ქონებიდან იგივე წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია ამავე დეკრეტის მუხ. 101-ში (ე. ი. ობოლი ბავშვი ღებულობს სარჩოს დაშთენილ ქონებიდან ისევე, როგორც მიცვალებულის ნათესავები, თანასწორად, მას უპირატესობა ეძლევა მხოლოდ მიცვალებულის მევალეებთან).

ამიტომ თუ თქვენს ობოლ ბავშვს მამის ნათესავები არ აძლევენ სარჩოს ნებაყოფლობით, თქვენ უნდა მიითხოვოთ ასეთი სახ. სასამართლოს წესით—თქვენი ბინადრობის მიხედვით.

ის საკითხიც, თუ ვისთან უნდა დარჩეს ობოლი ბავშვი, უნდა გადაწყდეს სასამართლოს დადგენილებით.

სახლის შეკეთების შესახებ

კითხვა

მაქვს თუ არა უფლება მოვთხოვო სახლის პატრონს ბინის შიგნიდან შეკეთება ან შევაკეთო თვითონ მე და გამოუქვითო ქირაში. მიჭირავს ერთი ოთახი მოცულობით 13 ოთხკუთხი არშინი, ვიხდი ბინის ქირას სამ მანეთს თვეში მიუხედავად იმისა, რომ ვღებულობ ჯამაგირს მე-5 ხარისხით ვმუშაობ ქალაქის მუშკოოპის № 4 პურის საცხობში.

მაქვს თუ არა უფლება ღამე გავათევინო სოფლიდან ჩამოსულ მამას, ძმას ან ამხანაგს?

საცხობის მუშა გიორგი გრძელიშვილი.

პასუხი

სახლის კაპიტალური რემონტის გაკეთება ევალება სახლის პატრონს და თუ თვითონ თქვენ ასეთს გააკეთებთ იმის შემდეგ, რაც ის ამაზე უარს განაცხადებს, თქვენ გაქვთ უფლება, კაპიტალურ რემონტზე დახარჯული ფული ბინის ქირიდან დაუქვითოთ. წვრილმან (უბრალო) რემონტებს აკეთებს თვით მდგმური თავის ხარჯზე.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ერთი მეტი ღამითაც თქვენთან ჩამოსული ნათესავები, მხოლოდ ამაზე უნდა აცნობოთ სახლის პატრონს ჩამოსულ პირთა პირადობის მოწმობის წარდგენით მილიციაში გასაცხადებლად.

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო

კითხვა

წარსულ 1925 წელს ზაფხულში მე ვმსახურობდი საბჭ. პროფკავშირის ლიცეუმის სამაზრო განყოფილებაში ტეხნიკური მდივნის თანამდებობაზე. ამავე წლის სექტემბრის თვიდან მე მოხსნილი ვიქენი ჩემი თანამდებობიდან სამაზრო პარტკომის განკარგულებით და გადმოგზავნილი ვიქენი სამხედრო სკოლაში. აღნიშნულ დაწესებულებაში დამრჩა ასაღები ჩემი კუთვნილი ჯამაგირიდან 92 მანეთი. ორმოცი მანეთი მომცა დაწესებულების გამგემ, დანარჩენზე კი არავითარ ყურადღებას აქცევენ.

გთხოვთ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ მოვიქცე და ვის მივმართო, რომ ჩემი ნაშრომი არ დამეკარგოს.

ექვთიმე ჩარკვიანი.

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ხუთშაბათს, 17 სექტემბერს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**მიხ. კახიანი.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს უმუშევარ პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც აღრიცხული არიან თბილისის კომიტეტთან და აგრეთვე საშუამავლო ბიუროში, სასწრაფოდ გამოცხადდნენ ხელახალ რეგისტრაციაში გასატარებლად ამხ. ნ. რონზეგთან.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 17 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში გაიმართება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე ქვემოთ დასახელებულ ამხანაგების დასწრება [illegible] მათთვის სავალდებულოა:

კანდიდატების გადაყვანა პარტიის წევრებად.

1) აბაზოვი ანტონი, პ., 2) აბულაძე ამბაკო, ა., 3) ბუჯიაშვილი მიხეილ დ., 4) ბადალოვი არშაკ ს., 5) ბრიკინი გრიგოლი ფ., 6) ბუშკინი ნიკოლოზ პ., 7) ვანესიან ოგანეს ა., 8) ღვინიაშვილი ოლღა ლ., 9) გრიგორიან სურენა, 10) გერმისაშვილი ივანე ა., 11) გოზალოვი იაკობ პ., 12) ჯავახიშვილი შალიკო ლ., 13) დოლუზაშვილი ვასილი ი., 14) დოლიძე ვენიამინე ა., 15) ჯებიან მარტიროს ლ., 16) დიაჩკოვა ეკატერინა ი., 17) ბგიაზაროვი ლევან გ., 18) ენგალჩევ იგორ ი., 19) იმნაძე იოსებ ფ., 20) ისრაილოვი სტეფანე ს., 21) კარასევა სოფიო ი., 22) ლაფაჩიძე იოსებ გ., 23) მანუკიან მხიტარ ა., 24) მიკირტუმოვი ლევან ს., 25) ლიბერმან მარიამ ზ., 26) მეტრეველი გიორგი ლ., 27) მამაგეიშვილი აკაკი ი., 28) მინასაროვი გარსია, 29) ნაზაროვი კარაპეტ მ. 30) ორკომნელი სერგი მ. 31) ოგანეზოვი გიორგი მ. 32) პასტური დავით გრ., 33) როსტომოვი დავით ზ., 34) საფრონოვ მიხეილ ა., 35) სივიაკ სტანისლავი ფ., 36) სტეფანოვი სუმბატ მ., 37) სხირელი ალექსი გ., 28) ტერ-გრიქუროვი ვართან ი., 39) ტავრიევარ ხანონ ს., 40) კოჩუმანიან ერვანდ ა., 41) უჯიერაშვილი ოლღა მ., 42) ჩანდიშვილი ანტონ გ., 43) ჩიჩინიძე ივანე, ს., 44) შხიანც ვასილი ე., 45) ხმიადაშვილი იოსებ პ., 46) ხანზადიან ა—რ მ.

მდივანი—**მელაძე.**

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ოთხშაბათს, 16 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, სადელეგატო კრებაზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში, კანდიდატების დასამტკიცებლად და კანდიდატების პარტიის წევრებად გადასარიცხავად.

უჯრ. № 5. ქვაცოლაშვილი სოფიო პავლეს ასული.

უჯრ. № 1. ე. რამიშვილი ლიპარიტი, 2) ჯულაშვილი ნინა, 3) მესხი სებასტიანე.

უჯრ. № 4. მირიაპოვი კონსტანტინე, 2) პაჭიაშვილი შაქრო, 3) დოვლატიან სამსონ.

უჯრ. № 3. გორეიან მაშო, 2) აივაზოვ გალუსტ, 3) გეგეჭკორი ისაკ, 4) მაშიევ ქრისტეფორე, 5) ბაგდასაროვა თამარა, 6) ბერძენიშვილი ვასილ, 7) პეჩედინ ნიკოლოზ, 8) ტერ-სტეფანიან აშოთ, 9) სვიატოგორსკი ივანე.

უჯრ. № 2. ბუგაშვილი ლაზარე, 2) კოდენკო კონსტანტინე.

უჯრ. № 55. 1) კუხტა ილია, 2) ბობროკინ ალექსანდრა, 3) ისიტოვ შალვა, 4) ერევანცევი იაკობ, 5) გოგუა კონდრატი, 6) ქათამიძე ილია, 7) ბესიკაშვილი გიორგი, 8) კალანდარიშვილი თედორე, 9) კვალიაშვილი ილია, 10) ქულაძე ნიკოლოზ.

უჯრ. № 6. გასიევა ევგენია, 2) მჭედლიშვილი კონსტანტინე, 3) ლომინაძე ნიკოლოზ.

უჯრ. № 11. 1) ბერძნიშვილი გიორგი.

უჯრ. № 54. 1) ტინიაკოვ ლეონიდ, 2) ხაუტაშვილი ნიკოლოზ, 3) ვერმიშიან გიორგი.

უჯრ. № 13. 1. ქურაულევი თედორე, 2. ბეჯანოვ ანდრია, 3. ტავერდოვი ბაბაჯან.

უჯრ. № 10 1. კედია ევგენია, 2. სიხარულიძე რაჟდენ.

უჯრ. № 15. 1. ნიკოლაევი ანდრია, 2. მოსტოვი ივანე, 3. ჩგვლიანც არტემ, 4. ლუკიანოვი ვასილი, 5. ბაგდასარიან არმენუი.

უჯრ. № 8. 1. ჩიტიკიანც მიგრან.

უჯრ. № 12. ტროკუტოვი ვასილ, 2. ავეტისოვი ვართან.

უჯრ. № 17. 1. ბანდარევი ვასილი, 2. პოზოვა—სარქისოვა ელენე, 3. ხანიკაევ ოლღა, 4. ოსკანოვი გრიგოლი, 5. პოდგორსკი ბორის.

უჯრ. № 29. 1. გეგეჭკორი ნიკოლოზ, 2. ბასილაძე სერგო, 3 კორობოვი ანდრია, 4. ჩელია ისაკი, 5. ბეგელაური ივანე, 6. ფოჩიაშვილი მიხეილ, 7. გაგლოევი დურასაბ, 8. შევარდნაძე აკაკი, 9. გახალოვი სოლომონ, 10. ველიძე ნინო, 11. დანელია გრიგოლ, 12. რადაევი ვასილი, 13. არჩაია გიორგი.

უჯრ. № 34. 1. მეისრაფიშვილი ბაკო.

უჯრ. № 36. 1. ხახაშვილი ივანე.

უჯრ. № 39. 1. მაგრაკველიძე ი.

უჯრ. № 82. 1. მიქაძე მათიკო.

უჯრ. № 34. 1. სოსელია ნინა, 2. ღლონტი გიორგი, 3. კაკარაშვილი იოსებ, 4. ბოქაშვილი გიორგი. 5. ჩაჩანიძე გიორგი, 6. ბლიაძე იოსებ, 7. არჩუაშვილი გიორგი, 8. ბლიაძე იოსებ, 9. არჩუაშვილი გიორგი, 10. ნიკოლაიშვილი ვასილ, 11. ბაკურაძე პანტელეიმონ, 12. მესხი იულიან, 13. ქალუტაშვილი ივანე, 14. ავპატამოვი ნიკოლოზ, 15. ჩიგოგაშვილი ნიკოლოზ, 16. სიკამალოვი სოლომონ.

რაიკომის პასუხისმგებ. მდივნის მაგ. სტაკოვი.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი ავალებს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს იარონ პროპაგანდისტების წრის მეცადინეობაზე, პოლიტცოდნის ნორმალურ და შემოკლებულ სკოლების დავალებათა გასარჩევად: 1. ბუნიატოვა სოფიო, 2. ბორეიკო, 3. კოსიაკი, 4. როტინოვი გიორგი, 5. კოსტრილინ ალექსანდრე, 6. გუბაშვილი ალექსანდრე, 7. ჩერნიშევი ვასილი, 8. გლუხოვი მარკოზ, 9. ალექსეევი სიმონ, 10. ლეზინ პეტრე, 11. გრესს ფ., 12. ჩოჩიევი ფ., 13. დუბინსკაია ფანია, 14. მირზაბეკიან აბრამ, 15. მიკ, 16. ბაშინჯაგიან ზაქარია, 17. დუმბაძე ვლადიმერ, 18. ზარუჩენკო პეტრე, 19. გრიგორიევა ოლღა.

— საქ. ახალგ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 16 სექტემბერს, დღის 1 საათზე გაიმართება საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა; წინადადება ეძლევა საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრებს და ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დაუგვიანებლათ.

1. ინოსიან, 2. ფილიპოსიან, 3. ვ. ჩანჩალაძე მიხეილ, 4. ბაირამოვი, 5. ოგანჯანიან, 6. ზაალიშვილი, 7. იონესიან, 8. ვარსიმაშვილი ნინო, 9. სოსულინა ელენა, 10. პაპიაშვილი, 11. ადამეცკი, 12. კვესაძე. 13. ტატაშვილი, 14. ჯიბუტი, 15. ქავთიშვილი, 16. კუპრაშვილი, 17. კილასონია, 18. შუკლიშვილი, 19. მუსაელიან. 20. ივანოვა, 21. პანდიმიან, 22. ბალგინ, 23. ნალბანდიან. 24. ბურჭულაძე. 25. სულაძე, 26. პოტინოვი, 27. ესფირ, 28. სარქისიან, 29. შეაკიმიშვილი, 30. ტაგიევი, 31. ასკეროვი, 32. გუჩიაშვილი, 33. არუთიუნოვა, 34. დალაქიან, 35. თორაძე, 36. ნასიმოვი, 37. მირგელაშვილი, 38. ბაგიროვი, 39. ადამიან, 40. მეგრაბიან.

— ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა წინადადებას იძლევა, რათა ხუთი დღის ვადაში გამოცხადდეს ცეკას სააღრიცხვო განყოფილებაში, თავიანთ პირადი ბარათების მისაღებად შემდეგ ამხანაგები.

1. საბატაძე გიორგი, 2. თოფურია დიმიტრი, 3. ალიაშვილი კოლა, 4. ჯანგერიძე ნიკოლოზ, 5. ხარიტონაშვილი ვარო, 6. მანუკოვი ავეტის, 7. გაზაკიძე ნიკოლოზ, 8 ლაფანაშვილი იოსები, 9. ბუკერია მიხეილ, 10. ელისაევი ალექსანდრა.

ცეკას სააღრიცხვო განყ. მდივანი: ჯიმშელეიშვილი.

— შმო-ს ლიგის ტ. კ-ში ოთხშაბათს, 16 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, შესდგება შმო-ს ლიგის ტ. კ-ის პლენუმის სხდომა.

— ცეკას საალ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. ანტონ ჩხეტიანს, ორი დღის განმავლობაში გამოცხადებას საალ. განყოფილებაში.

საალ. განყ. გამგის მაგიერ: ლომიძე.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე მარგარიტა, შვილები ელენე, ნათელა, მაყვალა მწყერაძეები, დები: ეკატერინე ჩიქოვანისა, სოფიო გედევანიშვილისა, ტასო ჩიკოიძისა, სიძე ალექსანდრე გედევანიშვილი, დისწულები ეფემია ლეონიძისა, ანეტა გაბაშვილისა, მარო გედევანიშვილი, შალიკო და პავლე ჩიქოვანები, კოწია და კუსკა ჩიკოიძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 14 სექტემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი

გიძინა ნოშრევანის ძე

მწყერაძე.

გამოსვენება დღეს ალექსანდრეს საავადმყოფოდან. დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 სექტემბერს სოფ. სასირეთში (სადგ. გრაკალი) წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. 1—1 ჩ. № 1723

რომან გრიგოლის ძე და ეფემია გრიგოლის ასული პეტროიამკილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 14 ენკენისთვეს ქალ. აბასთუმანში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დისწული

ბაჩო ჩხიკვაძის ასული ხერხეულიძისა

16 ენკენისთვეს დილით, ბორჯომის მატარებლით ცხედარი მოსვენებული იქნება ქალ. სადგურზე, საიდანაც მცირე პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ საკუთარ ბინაზე (გაბაევის შესახვევი № 12). პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. 2501 1—1

მეუღლე [illegible], სოფია და ზაქარია ჩხიკვაძენი, გიგიმა, ელიზბარ და ბიძია ჩხიკვაძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. აბასთუმანში 14 ენკენისთვეს გარდაიცვალა

ბაბო (ბარბარე) ზაქარიას ასული ხერხეულიძისა

პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო დანარჩენების ძვირფასი შვილი და და. დღეს დილით ცხედარი ჩამოსვენებული იქნება ქალ. სადგურზე ბორჯომის მატარებლით. პანაშვიდის შემდეგ ცხედარს წაასვენებენ საკუთარ ბინაზე, გაბაევის შესახვევი № 12, პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათ. 2501 1—1

ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე მათეშვილი და [illegible] მეუღლე სოფიო იაგორას ასული თავის შვილით ელეონორა [illegible] ნიკოლოზის ასულით, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მე[illegible]ობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ [illegible] გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ნათლია

ანეპოდისტე (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე

კუჭუხიძე,

რომლის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს ნაშუად. 3 ნახ. საათზე ქ. თბილისში, ყიფიანის ქუჩა № 8. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე.
1—1 № 2497

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნადია ფარნას ასული, ძმა ალექსანდრე თომას ძე, ძმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე კუჭუხიძენი, სიმამრი ფარნა ნიკოლოზის ძე კაცაძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 13 ენკენისთვეს, საღამოს 9 საათზე, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ანეპოდისტე (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე

კუჭუხიძე

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს, ნაშუადღევს 3-ნახევ. საათზე, ქ. თბილისში საკუთარი ბინიდან, ყიფიანის ქუჩა № 8. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე.
2489 2—1

სახელმწიფო

საბუხჰალტრო კურსებზე

ძველი მსმენლების მეცადინეობა დაიწყება 17 სექტემბერს, ახალი მსმენელების—25 სექტემბერს საღამოს 5 საათზე. კურსებზე ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე (გარდა კვირა-უქმე დღეებისა) [illegible] 5—6 საათამდე. (ყოფ. ქალთა პირველი გიმნაზიის შენობა, კეცხოველის ქუჩა, № 12)

კურსების გამგე
მ. თაქთაქიშვილი

3—3 2458

— დაიკარგა —

თამბაქოს გადასატანი მოწმობა

№ 1282 წარმოკავშირის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. № 1713—3—3

ქ. თბილისის მე-2-ე რაიონ. სასამართლ. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 19 სექტემბერს 1925 წ., დილის 11 საათზე სახ. № 28 ლენინის (ოლღას) ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის საზ. „ვაკე"-ს მოძრავ ქონებას: 1000 ფუთ კირს შეფასებულს 300 მანეთად, ქსენია ძაგანიას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 12 სექტემბ 1925 წ. თარიღით, № 3177 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

2488 1—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლ. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 19 სექტემბერს 1925 წ., დღის 12 საათზე სახლში № 19 მოსკოვის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ნინო ჯაფარიძის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, საკერავ მანქანას და სხვ. შეფასებულს 266 მანეთად, ნადეჟდა შჩუკინის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 9 ივნისის 1925 წ. თარიღით, № 19700 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა.

2502 1—1.

სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებს, ვისზედაც ირიცხება ნარჩენები

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ თანახმად ს. ს. რ. კ. დადგენილებისა მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან, პირდაპირ გადასახადის გადამხდელებს მიეცათ შემდეგი შეღავათები:

1. იმ სოფლის და ქალაქის შინამრეწველებს და ხელოსნებს, რომლებიც განთავისუფლებულნი იყვნენ სრულიად ანუ ნაწილობრივ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებიდან, მიმდინარე წლის 10 აპრილის და 12 მაისის დადგენილებების თანახმად, სრულიად მოეხსნათ ამავე გადასახადების ნარჩენები და საურავი, დარიცხული მათზე მიმდინარე წლის 1 აპრილამდე.

2. ყველა წარმოებებს და კერძო პირთ მოეხსნათ პირდაპირი გადასახადის ნარჩენები, საურავი და დანარიცხები ადგილობრივი საჭიროებისათვის 1924 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, თუ ნარჩენის რაოდენობა ყოველი თვითეული სახის ძირითადი გადასახადის და ადგილობრივი დანარიცხებისა არ აღემატება 10 მანეთს უსაუროთ.

3. დანარჩენ პირთა შესახებ, რომლებზედაც 1924 წლის 1-ლ ოქტომბრამდე შეწერილი ნარჩენების ჯამი აღემატება 10 მანეთს, შეჩერებულია იძულებითი ზომების მიღება მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე და 1925 წლის 1-ლ აპრილიდან საურავის დარიცხვა.

თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი ნებაყოფლობით შეიტანებენ მათზე შეწერილი გადასახადის ნარჩენს, მიმდინარე წლის 1-ლ აპრილამდე დარიცხული საურავის ჯამი შემცირებული იქნება ნარჩენის 25 პროც.-მდე, ხოლო დაწყებული 30 სექტემბრიდან, იმ პირთ ვინც ნებაყოფლობით არ გადაიხდის, ეს ნარჩენები გადახდებათ იძულებითი წესით და არ მიეცემათ არავითარი შეღავათი.

აცხადებს რა ზემოაღნიშნულს, ა/კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში მოუწოდებს ყველა გადამხდელთ, ისარგებლონ დასახელებული შეღავათებით და შეიტანონ 1924 წლის 1-ლ ოქტომბრამდე მათზე დაგროვილი ნარჩენები მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე, რომლის შემდეგაც მიღებული იქნება ენერგიული ზომები ამ ნარჩენების იძულებით ასაკრეფად.

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის მოადგილე საქართველოში—ი. ფანცხავა.

გადასახადთა განყოფილების მმართველი—პ. ჯაფარიძე.
პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე—ბეზირგანიშვილი.

ნ. 1724. 1—1

ა-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო

1. აქვს საწყობში მომავალ სათესლოდ [illegible] სამეურნეო სეზონისათვის [illegible] სოფლ.-სამეურნეო მანქანები:

რუდოლფ საკის უნივერსალური (ორიგინალური) გუთნები:

ღ 10 S № . .	55 მ.
ღ 8 S № . .	49 მ.

დისკოიანი ფარცხები:

მელიხარ-უმრატის და რ. საკის 11 დისკ.	125 მ.
რ. საკის 8 დისკოიანი 145×71×33 სმ.	115—
ეანისის ეკკერტის და საკის გუთნისათვის	
ტრაქტორები 25 ძალიანი ვ. დ. (ნავთით მომუშავე) .	6900 მ.
დისკოიანი სათესები: ეკკერტისა 13 დისკოიანი . .	380 „
მელიხარ-უმრატის 11 დისკოიანი .	370 „
სიმინდის საფშვნელი „ბოუნია".	65—165 „
ხელით სახმარი საფშვენი „გენრიხ ლანცის" . .	106—60 „

ხორბლის სარჩევი მანქანები:

გეიდის У კლასის № 3 . . .	280 მ.
მაიერის У კლასის № 2 . . .	225 „
კრიუგერ მაიერის	225 „
ხელით სახმარი საფქვავები მარცვლეულისათვის . .	10 „

საბაღო ინვენტარი: ბაღის დანები, სანამყენე დანები, ვენახის სამსხლავი მაკრატლები, საბაღიო ხერხები, ხმელი ტოტების საჭრელი.

მეფუტკრეობის ხელსაწყოები: ხელოვნური ფიჭის (ცვილის) დასამზადებელი მორგვები, სანთლის სადნობი და მათი სათბური, დანაჩანგლები ფიჭის ამოსაჭრელად, გადასაყოფი „რეშოტკები", დასადგამი საკვებისათვის, ცინკიანი მავთული, საჭერთლები და სხვ.

სეპარატორები: „ალფა-ლავალი" 5-დან 50 ვედრომდე საათში 75 მ. 50 კაპეიკიდან 365 მანეთამდე.

გერბერის აპარატები, რძის ღირსების შესამოწმებელი საზომები (ტერმომეტრებით), სიმჟავეთა საზომები, ბოლო მახვილი შუშის მილები სიმჟავეთა, რძისა და პურის არყის სპირტისათვის, პურის არყის სპირტი და სხვ.

ფორდზონის ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები.

2. **სექტემბრის, ოქტომბრის განმავლობაში მიღებულ იქნება:**

ზეთის სამხადებელი მანქანები „ვიქტორია", ტრაქტორები „ფორდზონ", შვედური სანავთე ტრაქტორები „ავანს", იტალიური ტრაქტორები „პავეზი", გერმანული „ზემლეროპ", ამერიკული „კეის" „ინტერნაციონალ" და სხვ.

ფოლადის სამთითები სამ და ოთხ კბილიანი.

3. **ამას გარდა საწყობში არის დიდძალი სასოფლ.-სამეურნეო მანქანები მომავალ საგაზაფხულო და საზაფხულო სეზონებისათვის:**

კულტივატორები „პლანეტ" № 8 და № 17 $_{2}^{1}$., თივის საცელავები „მაკ-კორმიკ", ფოცხები „დირინგ" და „კრუპ", საცელავი მანქანები „მაკ-კორმიკ", „კრუპ" ძნების შესაკრელი „დირინგ" და „კრუპ", ბამბის სათესი ამერიკული, ავსტრიული ცელები „რედტენბახერის", სალესი აპარატები „მაკ-კორმიკ" და „კრუპ" და სხვ.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო—მუზეუმის ქ. № 2 ტელეფ. №№ 15—77,81, 1—43.

ნ. 1717 3—2

ხელისმომწერთა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტ"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

საქ. განათლების სახ. კომისარიატთან არსებული ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭო წინადადებას აძლევს რუსთაველის თეატრის ელ. სადგურის (ყოფილი „არტო")

ქვემოთ ჩამოთვლილ აბონენტებს შეიტანონ ენერგიის საფასური ა. წ. 1 სექტემბრიდან ს. ს. რ. კ. ელექტრო ბანკის

ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილებაში ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე.

1. აბ. № 15 საქ. პროფკავშირთა საბჭო
2. „ № 47 კინო-არფის სახ. კინო-მრეწველობის კანტორა
3. „ № 61 კომისარიატს სასახლე რუსთაველის № 30-ს. სახ. კომის. საბ. კანცელ.
4. „ № 370 სტამბა „ზარია ვოსტოკა"
5. „ № 378 „ „ „კრასნი ვოინ"
6. „ № 231 ამიერ-კავკასიის კომუნ. უნივერსიტეტი.
7. „ № 296 გაზ. „კომუნისტ"-ს რედაქცია

საფასური დროზე შეუტანლობისათვის ენერგიის მიწოდება შეწყვეტილი იქნება.

ხელ. საქ. მთავარ საბჭოს პრეზიდ. თავმჯდომარე გედევანიშვილი.
ნის. 1706—3—3 პრეზიდიუმის მდივანი ბახტაძე.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის ახალოვის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—15

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 18—1

ბორჯომი

ექ. ე. მ. ძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფებს იღებს მისამართი: როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 11 ზოსინის აგარაკი.

15 მკათათვიდან 5 ენკენისთვემდე

25—4

კბილის ექიმი

ფ. დ. რატიან თუხარელისა

კბილის და პირის ღრუს ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. მარჯანიშვილის ქუჩა № 18 [illegible] პირდაპირ.

25—20

ექიმი **ვ. ნ. დუკრინიძე**

ბავშვთა და შინაგანი სნეულებანი. ავადმყოფთა მიღება დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათ. მისამართი: [illegible] № 87. 18—1

ექიმი **გ. მ. შხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი **გ. ნ. [illegible]**

შინაგანი და [illegible] სნეულებანი. კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობა. [illegible] მიღება საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] № 38. 25—22

ექ. **ა. ე. უზლანერ**

ვენერიული, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. № 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.

25—4

დოქტორი [illegible]

სიმონ [illegible]

დაბრუნდა [illegible] და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—8 საათ. ქალებისთვის 12—1 საათ ასტუმრო „ნორ"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

[illegible] ქუჩა ([illegible]) № 33. იღებს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიული ([illegible] ტრიპერი და აგრეთვე სხვა სქესო ორგანოების ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—21

ექიმი **ხოჯაპარუხოვი**

კანის, ვენერიული და სიფილისის ბებუთოვის ქუჩა № 29 მიღება: დილის 9—12 საათ. საღამოს 4—6 საათ.

2890 13—1

ექიმი **ბ. ზ. მეჰრაბიანცი**

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეციალური მკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტგ. სხივებით. მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

ექიმი

ალ. გ. მღალაშვილი

ბავშვთა სნეულებანი.

იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—4 2153

ექიმა **შუხმანა**

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალებს დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

21—1

ექიმი **გ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 8 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—4

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყუდ. ბო-მონში). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

დაიკარგა დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 45015 ტრიფონ სოლომონისძე კორძაიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 2487.

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი გრიგოლ ტაბატაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 2492

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე დანიელისძე შიევის სახელზე. ჩ. გ. 1—1 2492

დაიკარგა ავტომობილის ნუმერი № 588 ვ. ანტიუფეევის სახელზე ჩ. გ. 1—1 2491

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 108 არონ აბრამის ძე ჯანაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2499 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ ივანეს ძე თვალაძის სახელზე. ჩ. გ. 2502 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 112 რაჟდენ ჯავახიას სახელზე. ჩ. გ. 2502 1—1

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 996 ნინო იპოლიტეს ასული ებანოიძის სახელზე. ჩ. გ. 2502 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 203 პეტრე შ. ფოსხუას სახელზე. ჩ. გ. 2499 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სანდრო ივანეს ძე ქურციკიძის სახელზე. ჩ. გ. 2499 1—1

დაიკარგა ბავშვთა საკვებით [illegible] წიგნაკი № 4 ვლადიმერ ანტონის ძე გაბუნიას სახელზე. ჩ. გ. 2499 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 294 ლუკა გიუნაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2499 1—1

დაიკარგა სააღრიცხვო ბილეთი № 2888 ნიკო გაიოზიძის სახელზე. ჩ. გ. 2499 1—1

დაიკარგა ატესტატები № 53—56 ვერა ბართლომეს ასული ჩხარტიშვილის და ლიდია ღერდელაძის სახელზე. ჩ. გ. 2499 1—1

დაიკარგა კომკავშირის წიგნაკი № 16,123 ნინო ყუშიტაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2496 1—1

დაიკარგა პირადობის და სამხედრო აღრიცხვის ბარათი მიშა ახვლედიანის სახელზე. ჩ. გ. 2495 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მარიამ სოლომონის ასული თევდორაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2494 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 238, სიღარიბის მოწმობა № 239 და ა. ლ. კ. კ. მანდატი № 271 ილია ჭუნდაძის სახელზე. ჩ. გ. 2498 1—1

ტირაჟი—20.
„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სამშ. წულუკიძის ქ. №